საერთო გაზეთი

№5 (416) • 15 თებერვალი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ვახტანგ ხარჩილავა:

რვა საუკუნის წინათ და რვა საუკუნის შემდეგ

თუ ბიძინა ივანიშვილი რუსი ოლიგარქია, მაშინ პუტინზე დიდი მეგობარი ჩვენს ქვეყანას არ ჰყოლია, რადგან ისეთი კაცი გამოგვიგზავნა მხსნელად, რომელიც მისი „სპეცდავალებით“ საქართველოს კეთილდღეობისთვის მილიარდებს ხარჯავს

ნიკუშა შენგელაია:

ხალხსაც თავისი ფესვები აქვს და მისი „გადარგვა“ ისევე არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება, ვთქვათ, ტროპიკული ხეების გადარგვა ჩრდილოეთში...

ძმებო, ებრაელებო, 26 საუკუნე გიფარავდით და გეფერებოდით, თქვენ კი ზიზღით და სიძულვილით გვიხდით სამაგიეროს?!

ლაშა ამირეჯიბი:

ამას იმიტომ ვლაპარაკობ, რომ მივიდეს ბატონი ბიძინას ყურამდე და გაიგოს, თუ რა ხდება ზოგიერთ სახელმწიფო სტრუქტურაში

გიორგი ბურჯანაძე:

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვებს ცხენისა და კამეჩის ხორცს აჭმევენ და ამის მთელი რიგი მტკიცებულებები გამაჩნია

ნიკოლოზ მჟავანაძე:

მხოლოდ სოხუმი და ცხინვალი კი არა, პირველ რიგში, თბილისი გვაქვს დასაბრუნებელი

„დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებას ისე აღვიქვამ, თითქოს ამერიკელი ზვიად გამსახურდია მოვიდა ამ ქვეყნის სათავეში.

გივი ჯავახიშვილი:

სხვა ქვეყნებიდან უნდა ზიდო არა პროდუქცია, არამედ იდეები

ჯოჯოხეთის მაშხალად ქცეული „დემოკრატიის შუქურა“ და ბაბაიაგა ცოცხზე

რვა საუკუნის წინათ და რვა საუკუნის შემდეგ

თუ ბიძინა ივანიშვილი რუსი ოლიგარქია, მაშინ პუტინზე დიდი მეგობარი ჩვენს ქვეყანას არ ჰყოლია, რადგან ისეთი კაცი გამოგვიგზავნა მხსნელად, რომელიც მისი სპეცდავალებით საქართველოს კეთილდღეობისთვის მილიარდებს ხარჯავს

— დამთავრდეს ბიძინა ივანიშვილის არაფორმალური მმართველობა!

— ძირს ივანიშვილის დიქტატურა!

— საქართველო ივანიშვილის გარეშე!

— ყველანი რუსი ოლიგარქის წინააღმდეგ!

ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ მოწოდებებისა, რომლებიც სულ უფრო ხშირად ისმის ტელეეკრანებიდან თუ მოხშირებული საპროტესტო აქციებიდან.

მაინც ვინ არიან ამ მოწოდებე-

ბის და ამ საპროტესტო აქციების ავტორები და ინიციატორები და რატომ ებრძვიან ასე გააფთრებით ბიძინა ივანიშვილს, კაცს, რომელსაც უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული ამ ქვეყნისთვის?

სანამ ამ საინტერესო კითხვას პასუხს გავცემდე, ერთ ისტორიულ ფაქტს გავიხსენებ.

დავით აღმაშენებლის მიერ არაბთა სამასწლიანი ბატონობიდან თბილისის გათავისუფლება ქართველ დიდგვაროვანთა ერთი ნაწილისთვის იმდენად მიუღებელი აღმოჩნდა, რომ დამპყრობლისგან თბილისის დამხსნელ მეფეს სასტიკად დაუპირისპირდნენ და ავჯანყება მოუწყვეს.

ერთი შეხედვით, დაუჯერებელი ამბავია ეს — როგორ შეიძლებოდა ქართველ კაცს გადამთიელებისგან ქართული ქალაქის გათავისუფლება არ გახარებოდა?

დაუჯერებელი ამბავი კია, მაგრამ სინამდვილეს ვერსად გავექცევით — ქართველები თბილისის გამათავისუფლებელ ქართველ მეფეს აუჯანყდნენ.

რატომ მოხდა ეს?

რატომ მოხდა და იმიტომ, რომ სამი საუკუნის თანაცხოვრების განმავლობაში ქართველი დიდგვაროვნები ისე კარგად შეეწყვნენ დამპყრობლებს, ისეთი კარგი ურთიერთობები დაამყარეს მათთან, იმდენი ქონება და ოქრო-ვერცხლი იშოვეს დამპყრობლების ფრთებქვეშ საიმედოდ შეეუჟულებმა, რომ ახალი პატრონი, მიუხედავად იმისა, რომ ეს პატრონი მათი ჯიშისა და ჯილაგისა იყო, ვერ იგუეს, რადგან იმ შორეული უდაბნოებიდან მოსულ დამპყრობელთან უფრო დაცულად და კომფორტულად გრძნობდნენ თავს, ვიდრე ლიხს იქითა მხრიდან გადმოსულ არამკითხე ქართველ განმათავისუფლებელთან.

დაახლოებით მსგავსი რამ მოხდა 2012 წლის ოქტომბერში, როცა „ქართულმა ოცნებამ“ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა, რაც მხოლოდ არჩევნებში გამარჯვება კი არა, ფაქტობრივად, იყო თითქმის ოცწლიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინება, რის შედეგადაც არა მარტო თბილისი, არამედ მთელი საქართველო განთავისუფლდა შინაური მოძალადეებისგან.

რაც 2012 წლის შემდეგ ხდება, ეს არის უხილავ მტერთან საიდუმლო გარიგებით შეკრული ქართული პოლიტიკური „დიდგვაროვნების“, XX-XXI საუკუნეების მოღალატე პოლიტიკური ფეოდალების რევანშის და ძალაუფლების დაბრუნების მცდელობა, რომლის წარმატებით განხორციელებას, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი, ზოგადად, მისი არსებობა უშლის ხელს.

ამ შინაურმა დამპყრობლებმა ძალიან ბევრი რამ დაკარგეს 2012 წლის შემოდგომაზე — დაკარგეს ქვეყნის ძარცვის ექსკლუზიური უფლება, დაკარგეს უზარმაზარი შემოსავლები, დაკარგეს პრივილეგიები, დაკარგეს განუსაზღვრელი, უკონტროლო ძალაუფლება, ყოველივე ამასთან შეგუება კი, ცხადია, ძნელია.

ისინი მარტო არ მოქმედებდნენ. ეს ძალები ნაწილია იმ საერთაშორისო მაფიისა, რომლის შესახებაც ღიად და დაუფარავად ილაპარაკა დონალდ ტრამპმა თავის საინაუგურაციო სიტყვაში და მანამდეც...

დამარცხებას ვერც ეს საერთაშორისო მაფია ეგუება, რომლის საეგზეკუციო-სადამსჯელო დესანტს წარმოადგენდა „ნაცმოძრაობა“, რომლის საშუალებითაც, კოლოსალური თანხები მიედინებოდა მაფიის ჯიბეებში.

დღეს შუა საუკუნეები არ არის, რომ ქვეყნის მოღალატეებს და გამყიდველებს თავები წაასხიპო და სარებზე წამოაცვა, როგორც ეს აღმაშენებელმა გააკეთა.

დღეს დემოკრატიაა, რომელიც ფარისევლების, არაკეთილსინდისიერი ადამიანების ხელში იმდენი მანიპულაციის საშუალებას იძლევა, რომ სიტყვის თავისუფლების, ადამიანის უფლებათა დაცვის სახელით დაიცვა ავანტურისტები, მკვლელები, ყაჩაღები, სადისტები, ქვეყნის მტრები და მოღალატეები, რაც ხდება კიდევაც დღევანდელ საქართველოში.

...რვა საუკუნის შემდეგ სარებზე წამოცმული მოღალატე ქართველები გაცოცხლდნენ და მათი სულიერი მემკვიდრეების, „ნაციონალების“ ხელით მაინც გააძევეს დავით მეფე თბილისიდან და პირი იქით უქნეს, საიდანაც მოვიდა და მტერთან ჩახუტებულებს სიამტკბილობით სავსე ცხოვრება დაუნგრია.

* * *

— ბიძინა ივანიშვილი რუსი ოლიგარქია!

— გავათავისუფლოთ საქართველო რუსი ოლიგარქის არაფორმალური მმართველობისგან!

ასეთ „პატრიოტულ-ჰეროიკული“ გრძნობებით შეზავებულ-შეკმაზულ დემაგოგიურ გამოხდომებსაც ხშირად გაიგონებთ ხოლმე უტიფართა ბაგეთაგან.

მოდით, ერთი წუთით დავიჯეროთ, რომ ბიძინა ივანიშვილი რუსი ოლიგარქია.

თუ ის მართლაც რუსი ოლიგარქია, მაშინ, ცხადია, ის პირდაპირ და უშუალოდ უნდა ასრულებდეს რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის დირექტივებს და მითითებებს.

ახლა გავიხსენოთ, რა საქმეები აქვს გაკეთებული პუტინის კონტროლსდაქვემდებარებულ ამ „რუს ოლიგარქს“ საქართველოში და იმ დასკვნამდე მივალთ, რომ პუტინზე უფრო დიდი მზრუნველი, მეგობარი და მოამაგე საქართველოს არ ჰყოლია.

ვლადიმირ პუტინი არის თურმე ის კაცი, რომელიც საქართველოში „კამანდიროვკით“ გამოგზავნილ მის რუს ოლიგარქს ავალდებულებს, საქართველოს და ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ ორი მილიარდ ორას მილიონზე მეტი დოლარი დახარჯოს, ააშენოს სამების კომპლექსი, აღადგინოს და რესტავრაცია გაუკეთოს 500-მდე ეკლესია-მონასტერს, გაარემონტოს სასწავლო დაწესებულებები, თეატრები, საავადმყოფოები, კლინიკები, ინსტიტუტები, სხვადასხვა ობიექტები, ააშენოს სპორტული კომპლექსები, ყოველთვიური სტიპენდიებით დაეხმაროს ათიათასობით ადამიანს, საძირკველი ჩაუყაროს ახალი უნივერსიტეტის მშენებლობას, სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცეს მილიონების ღირებულების ქონება და ა. შ. და ა. შ.

ამის გაკეთებას „აიძულებს“ თავის „რუს ოლიგარქს“ ვლადიმირ პუტინი?

აი, ამას ამბობთ თქვენ, თქვეცალტვინა იდიოტებო, როდესაც ბიძინა ივანიშვილს რუს ოლიგარქს და რუსეთის ინტერესების გამტარებელს ეძახით!

რუსეთის ინტერესების ყველაზე ერთგული გამტარებელი თუ ვინმე იყო, ეს იყო „ნაცმოძრაობა“, რომელმაც თავისი მმართველობის ცხრა წლის განმავლობაში თუ რაიმეს გაყიდვა შეიძლებოდა, ყველაფერი რუსეთს მიჰყიდა, ბოლოს კი ყოველივე ამას საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტიც ზედ დაამატა საჩუქრად.

დაბოლოს, დავუშვათ, მობეზრდა ბიძინა ივანიშვილს ამდენი დაუმსახურებელი შეურაცხყოფა, ამდენი ცილისწამება და ქვეყნიდან წავიდა.

რა შეიძლება მოხდეს ამ დროს?

რა შეიძლება მოხდეს და მისი წასვლისთანავე, დაუყოვნებლივ, იმავე წუთას, იმავე დღეს საქართველოში ისეთი დაპირისპირებები და ისეთი არეულობა დაიწყება, გასული საუკუნის 90-იანი წლები მოსანატრებელი გაგვიხდება.

ვის შეიძლება ეს ხელს აძლევდეს?

ვის და იმ ძალებს, რომლებსაც ხელისუფლებაში მოსვლის სხვა არანაირი შანსი არ აქვთ, გარდა ერთისა: ისარგებლონ ქაოსით, არეულობით, უმართავი პროცესებით და, როგორც ასეთ დროს ხდება, მღვრიე წყალში ოქროს თევზი დაიჭირონ.

ცუდ პროცესებს ვხედავ, ცუდად იმღვრევა პოლიტიკური ამინდი და ყოველივე ამას ცუდი გაგრძელება და კიდევ უფრო ცუდი შედეგები ექნება, თუ ხელისუფლებამ ადეკვატური ნაბიჯები დროულად არ გადადგა და, ამასთან ერთად, ქართველი ხალხი თუ ვერ მიხვდა, რომ მოცემულ სიტუაციაში ბრძოლა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, სინამდვილეში საქართველოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაა.

ვახტანგ ხარჩილავა

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

ხალხსაც თავისი ფესვები აქვს და მისი „გადარგვა“ ისევე არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება, ვთქვათ, ტროპიკული ხეების გადარგვა ჩრდილოეთში...

„საერთო გაზეთის“ სტუმარია ნიკუშა შენგელაია:

— ბატონო ნიკუშა, ამერიკის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ღიად გამოუცხადა ომი ულტრა-ლიბერალებს და ამერიკელებსაც და დანარჩენ მსოფლიოსაც კაცობრიობის უძველესი და მარადიული ფასეულობების დაბრუნებისკენ მოუწოდა. როგორ აისახება ეს საქართველოზე?

— დიახ, ეს საკითხი პრობლემატური აღმოჩნდა არა მარტო ჩვენთვის, არამედ ევროპასა და აშშ-შიც. ესენია: იდენტიფიკაციის, ეთნოსის, ისტორიის, ტრადიციის თემები, რისგანაც ერი შედგება და რითაც აქამდე მოვედით. უკვე ეთნიკური, ნაციონალური, ისტორიული ტრადიციების გადარჩენის საკითხი დგება. ამიტომ, ვფიქრობ, ეს უფრო ევროპის საფიქრელია, რადგან სწორედ იგი იყო ყოველთვის ღია ინტეგრაციის პოლიტიკის მომხრე, სხვაგვარად არც შეიძლებოდა. შესაძლოა ის არა-პოპულარული სიბრძნე, რომელსაც დროსა და მომავალში უნდა ემუშავა, განზე აღმოჩნდეს. გაირკვა, რომ თურმე, ბუნებაში, ცხოვრებაში ყველაფერს თავის ადგილი აქვს, რისი აღრევითაც, შეიძლება, არასასურველი მომავალი მიიღო. ბუნებაში ისე არ ხდება, რომ სუბტროპიკული მცენარეები არასუბტროპიკულ ადგილებში იზრდებოდეს, ტროპიკული კი — ჩრდილოეთ ადგილებში და ა.შ. ყველაფერს თავისი ისტორია, ფესვები აქვს, რაც ჰარმონიაშია მოყვანილი — ადამიანების მიგრაცია, მათი კულტურა, ცხოვრების წესი, რელიგია და ა.შ. ამას ძალიან დიდი დრო უნდა. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ყველაფერს გარკვეული პრობლემა მოაქვს, რაზეც არ უფიქრიათ. ანუ, პოლიტიკოსები რაღაც ნაბიჯებს ისე დგამდნენ, რომ არ ითვალისწინებდნენ ისტორიას, ტრადიციებს, რელიგიურ შეხედულებებს.

— ბატონო ნიკუშა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ კაპიტალისტმა ტრამპმა აღნიშნა: მივიღეთ რეალობა, როცა ადამიანთა მცირე ჯგუფი მდიდრდებოდა, სახელმწიფო ხალხისთვის უნდა არსებობდეს და დროა, ძალაუფლება ხალხს დავუბრუნოთო. როგორ გესმით ყოველივე ეს?

— ქვეყნის ძალა და კონსტიტუციის წყარო, ყოველთვის, ხალხია, ასევე, ხელისუფლებისაც, მაგრამ ეს გამოთქმა ცოტა პოპულისტურად მომეჩვენა. ხალხი არჩევნებზე ლეგიტიმაციას გაძლევს და მერე, შენ როგორ მართავ ქვეყანას, ეს მნიშვნელოვანია.

ხალხს ძალაუფლება კი არ უნდა დაუბრუნო, რაც მას არჩევნებში მონაწილეობის სახით ისედაც აქვს, არამედ უნდა იზრუნო, რათა იგი უკეთესად ცხოვრობდეს და ქვეყანა განავითარო. ძალაუფლებას, ხალხი, საარჩევნო პერიოდში, უკვე ფლობს. ჩვენს ქვეყანაშიც, ამერიკაშიც დამტკიცდა, რომ ხალხი სისტემებს აღუდგა და დემოკრატიული არჩევნებით გაისტუმრა. აი, ეს არის დღევანდელ დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში ხალხის ძალაუფლება.

— რაც შეეხება ჩვენს ხელისუფლებას, რამდენად ადეკვატურია მათი ქმედებები საქართველოში არსებულ არაერთ პრობლემაზე. ხომ არ მწიფდება სოციალური აფეთქების საშიშროება?

— ეს ყველაფერი ცოტა გაბუქებული მეჩვენება. რაც ახსენე, სოციალური ფონი, გეთანხმები, რომ ძალიან მძიმეა. ამაზე შენთან, ინტერვიუში არაერთხელ მისაუბრია და ისიც დამიყოლებია, რომ ეს დიდხანს გაგრძელდება. ნურავის ეგონება თითქოს, აქ, ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა მალე გამოსწორდება. ეს არის, რაშიც დღეს ვართ. ტელევიზიებს რაც შეეხება, ვთვლი, რომ საზ.მაუსთან დაკავშირებით ეს რეფორმა ჩასატარებელი იყო, რადგან აღნიშნული ტელევიზია ძალიან ძვირი გვიჯდებოდა, რა დონის პროდუქციასაც საზოგადოება ვერ ხედავდა. 40 მილიონი წელიწადში კერძო ტელევიზიებს — „იმედს“, „ჯი-დი-ეს“ და „მაესტროს“ ერთად აღებულს არ აქვთ. სად მიდიოდა ეს თანხები?!

— ხელისუფლება ახლა კითხულობს რას ხმარდებოდა ამხელა თანხა. ეს კითხვა რატომ აქამდე არ დაისვა?

— ეს შეკითხვა ისმებოდა, მაგრამ არავინ არაფერს აკეთებდა. ამაზე სულ იყო ლაპარაკი. ჯერ კიდევ სამი წლის წინ იყო საუბარი ახალი ფორმატის მოფიქრებაზე. ახლა, ამ თემით, სპეკულირებენ. ყველა სათავისოდ იყენებს, ზოგმა ეს თემა „რუსთავი-2“-ს და მასმედიის თავისუფლებას მიაბა.

— ერდოღანმა მოღალატე ტელევიზიები დახურა, ჟურნალისტები კი ციხეში ჩასვა. იგივეს ამბობს ტრამპიც. ბიძინა ივანიშვილმაც სცადა მედია ობიექტური ყოფილიყო, თუმცა მას ამ ბრძოლაში გუნდი გვერდით არ დაუდგა.

— ძალიან ძნელია ზოგადად, და საკუთარ თავზე, მასმედიისგან არაობიექტური გამონათქვამები ისმინო. ყველგან არის მემარცხენე, მემარჯვენე და ა.შ. ტელევიზიები, მაგრამ ზოგადად, სიმართლე მაინც არ იკარგება და მშვენივრად ჩანს ვინ ვინ არის და რას ემსახურება.

— ჩვენთან, ულტრა-ლიბერალური ფრთის წარმომადგენლებს ღრმად აქვთ ფესვები გადგმული. აქ, ისევ, მაკ კეინის მხარდაჭერილი ძალები ამბობენ მთავარ სიტყვას არასამთავრობოებისა თუ ძალაუფლებაში მყოფი პირების სახით. ასე, აშშ-სთან, დაპირისპირებული ხომ არ აღმოვჩნდებით?

— ეს ყველაფერი გადაიხედება, მაგრამ ამ სისტემაზე ერთ დღეში უარს ვერავინ იტყვის. ვინ რას ემსახურება, ეს დიდწილად, გარკვეულია და კიდევ გაირკვევა. რაზე იქნება აღებული ორიენტირი, ვნახოთ, ჯერ ცვლილება ახალი მომხდარია. ამ ხალხის თანდათანობით პოლიტიკური ველიდან გასვლას დრო და ამ ყველაფერზე გულწრფელი საუბრები შეუწყობს ხელს. ხალხმა რაც შეიძლება ბევრი უნდა წაიკითხოს, იფიქროს, ნახოს, სწორად შეაფასოს ვის რა ფასეულობა და როგორ მოაქვს, რა მომავალი ელოდება მის ოჯახს, ქვეყანას და ა.შ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. მსოფლიო ისეა მოწყობილი, რომ პოლიტიკურ გარემოს ძლიერი მართავს. რა თქმა უნდა, წინააღმდეგობებიც იქნება, ყველაფერი ასე ერთფეროვნად როდი ხდება.

— თუმცა, სანამ ცვლილებების მოლოდინში ვართ, ეს ულტრა-ლიბერალები ჩვენს ქვეყანას ყვავ-ყორნებივით გლეჯენ.

— ვერაფერს გახდებიან, ეს ძალიან რთული პროცესია. მათ მიზნად დაისახეს ეროვნულობის ამოშიგვნა, ეს ადვილი არ იქნება, თუმცა, ამის მცდელობები უკვე ვნახეთ. ეროვნულობის მატარებელი ადამიანები გენეტიკურად, ისტორიულად ამით ცხოვრობენ, ამაყობენ. ამის გარეშე უადგილოდ, უსამშობლოდ, უყველაფროდ დავრჩებით. ახლა, სწორედ ამ სიმართლეზე საუბრის, ჭიდილის, შეთავაზებების დროა. ეს უნდა განიხილებოდეს როგორც დიდი დასავლური კულტურის განვითარების გზა, რომელსაც აბსოლუტურად იგივე უფლებები აქვს, როგორც სხვას.

— ბატონო ნიკუშა, რა კეთდება ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის კუთხით?

— არ ვიცი, რა კეთდება. მეც, თქვენსავით როგორც რიგითი მოქალაქე პროცესს ვაკვირდები. ვიცი, რომ საქმე ნელ-ნელა წინ მიდის. ცოტა ხნის წინ გარკვეულ პირებს წართმეული ქონება დაუბრუნეს. დაზარალებულთა რაოდენობა იმდენად დიდია, ცოტა რთული იქნება, მაგრამ პროცესი უნდა დაჩქარდეს, ადამიანების მიმართ სამართლიანობა აუცილებლად უნდა აღდგეს იმიტომ, რომ ესეც ერთ-ერთი მთავარი მხარეა. ამ ბრძოლაში ადამიანების დიდი ნაწილი მხოლოდ იმისთვის როდი მონაწილეობდა რომ ზიანი პირადად მიიღეს, არამედ ქვეყნისა და საკუთარი ღირსების დასაცავად. ამიტომ, ეს თემები, ნებისმიერმა ხელისუფლებამ, ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს.

— „ნაციონალები“ ისევ ასპარეზზე გამოვიდნენ და ახალი პროვოკაციებისთვის ემზადებიან.

— „ნაციონალები“ დაიშლებიან, გაიშლებიან თუ ჩაიშლებიან, ამას უკვე მნიშვნელობა არ აქვს. ჩემისთანა ადამიანისთვის მკაფიოა ნათელი და ბნელი. ვთვლი, რომ მათ პოლიტიკაში ყოფნის მორალური უფლება აღარ აქვთ. რასაც ისინი შეცდომას ეძახიან, მე, ამას გააზრებულ დანაშაულს ვუწოდებ. დანაშაულსა და შეცდომას შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. შეცდომა ვერ იქნება, როცა უდანაშაულო ადამიანს ბედს გადაუწყვიტავ და დაღუპავ. ეს შეცდომა კი არა, ორგანიზებული დანაშაულია. სამწუხაროდ, არსებობს ჩვენი ხალხის 25%, რომელიც მათ ხმას აძლევს. ისინი არ ფიქრობენ ამ თემაზე, საკუთარი ინტერესები ამოძრავებთ — ბოღმა მეზობლის, ან ქვეყნის მიმართ და მათ კიდევ აძლევენ ხმას. სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში კიდევ ცხოვრობს ხალხი რომელიც მიშა, მიშას გაიძახის. ჩემთვის ეს ხალხი არის ბრმა და ყრუ, არაფრის დამნახავი და გამგონი.

— დღეს, რეალურად, ბიძინა ივანიშვილის მთავარი მხარდამჭერი, რომელმაც მასთან ერთად უთხრა ცხრაწლიან რეჟიმს უარი, ქართველი ხალხია. რას აკეთებს ამ დროს „ქართული ოცნება“?

— ბიძინა ივანიშვილი თავის საკეთებელს აკეთებდა, აკეთებს და გააკეთებს. ყველაზე დიდი მხარდაჭერა, შენც ახსენე, რომ ჩვენნაირი ადამიანების, საზოგადოების, ხალხისგან აქვს. ეს არის მთავარი. „ქართულ ოცნებაში“ თუ რაღაც ისე არ ხდება, თუ საკადრო საკითხები არ მოგვწონს, ეს ასე მარტივი მოსაგვარებელი როდია. „ქართული ოცნება“ დიდი ორგანიზაციაა ბევრი თანამდებობით, სადაც შეიძლება ისეთი ადამიანი მოხვდეს, რომელიც ჩვენ არ გვინდა, ასეთი ადამიანი შეიძლება უღირსადაც მოიქცეს. ეს ყოველდღიურობა, რეალობაა. ძალიან რთულია მთელი ხელისუფლება, პარტია წესიერი, კომპეტენტური ადამიანებით დააკომპლექტო. თუმცა, ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს ვითარების გამოსწორებას. მაგალითად, მინისტრთა კაბინეტი არავის აღიზიანებს, ხოლო ამის ქვედა ფენებში რა ხდება, ეს უნდა გამოირკვეს. ვთვლი, რომ ჩინოვნიკების მიმართ მეტი სიმკაცრე და თვალია საჭირო. ეს საქართველოა და ვიცით, რომ თანამდებობებზე, ხანდახან, ისეთი ადამიანები აღმოჩნდებიან, რომლებიც პირად კეთილდღეობას ამჯობინებენ. ამაზე შეგვიძლია ვისაუბროთ და უნდა ვისაუბროთ კიდეც იმიტომ, რომ ქვეყნისთვის მუდმივად უკეთესი და უკეთესი უნდა გვინდოდეს. ამას უნდა ხედავდეს ხალხი, მცირედით არ უნდა დაკმაყოფილდეს. როცა საზოგადოებაში რაღაც პრობლემა მწიფდება, „ქართული ოცნებაც“, ხელისუფლებაც ადეკვატური უნდა იყოს და პასუხი გასცეს. ჩვენი ხელისუფლება არ გაურბის ამას, მაგრამ ხანდახან, მოვლენებს უნდა დაასწროს და სანამ საზოგადოებაში რაღაც პრობლემა მომწიფდება, იქამდე იმოქმედოს. მაქსიმალურად, რაც შესაძლებელია, აკეთებენ. ძნელია ინვესტიციების მოზიდვა. ივანიშვილი თავისი მარიფათით და გონებით მოპოვებული რესურსებით ბევრად მეტს აკეთებს, ვიდრე ეს შესაძლებელია. თუ „ქართული ოცნება“ სათანადოდ მხარს არ დაუჭერს, ამისათვის, ჩვენ, ხალხი საკმარისი ვიქნებით. აი, ეს არის ხალხის ძალაუფლება, რაზეც ზემოთ მკითხე.

— ბატონო ნიკუშა, ტრამპმა ფიცის დადებისას თქვა: ღმერთი გადამარჩენს მე და გადაარჩენს ამერიკასო. ჩვენ რა გადაგვარჩენს?

— საქართველოს, პირველ რიგში, პოლიტიკაში გონივრული, ბრძნული გადაწყვეტილებები გადაარჩენს, რათა აქ, მშვიდობა იყოს. ღმერთმა უამრავი რამ გვიბოძა, რისი მადლიერნიც უნდა ვიყოთ და ყოველივეს ადამიანურობით, სიკეთის კეთებით ვუპასუხოთ. აი, ეს გადაგვარჩენს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ლაშა ამირეჯიბი:

ამას იმიტომ ვლაპარაკობ, რომ მივიდეს ბატონი ბიძინას ყურამდე და გაიგოს, თუ რა ხდება ზოგიერთ სახელმწიფო სტრუქტურაში

რამდენიმე დღის წინ **ლაშა ამირეჯიბმა** სოციალური ქსელისა და ინტერნეტსაიტების საშუალებით ბიძინა ივანიშვილისადმი ასეთი მიმართვა გაავრცელა:

„ბატონო ბიძინა,

დამეთანხმებით, რომ საქართველო საოცრების ქვეყანაა! ერთმა ტურისტმა ისიც ბრძანა, რომ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ზღაპარი სინამდვილედ ადვილად იქცევაო. ჰოდა, ერთი ალტერნატიული საოცრების მოყოლა მინდა, რომლის სინამდვილედ გადაქცევა ფინანსური პოლიციის მეზღაპრეებს სურთ.

მოკლედ... ერთ მშვენიერ დღეს ერთმა წესიერმა კაცმა მეგობარი ბიზნესმენი მომიყვანა და ძალიან საინტერესო ამბავი მომიყვა. ეს კაცი რაღაცას წვალობს, ორ კაპიკს შოულობს და მისი არსებობით არავის არ აწუხებს. მაგრამ, როგორც ყველა ცუდ ზღაპარში, მასაც არ ასცდა ბოროტი სული - მიუკაკუნეს ბიჭებმა და ბიზნესის დათმობა სთხოვეს. დაბნეულმა ბიზნესმენმა მოიკითხა ამბავი: ვისი ინტერესებია და ჩემი წვალებითა და ოფლით აწყობილი საქმე რატომ უნდა გადმოგცეთო? აი, აქ კი საოცრების მატერიალიზაცია იწყება: ამ ბიზნესით დაინტერესებულია ბატონი ბიძინა ივანიშვილიო! „მე ქვევით, შენ ზევით...“ არ დაიჯერა ჩემმა სტუმარმა (ვერც მე დავიჯერე)...

საუბარში ირკვევა, რომ ყმაწვილები, რომლებიც ბიზნესის გადაცემას ითხოვდნენ, ფინანსური პოლიციის თანამშრომლები არიან... დიდი ნერვიულობის და ყაყანის შემდეგ სტუმრები ახსენებენ ბ-ნ გიორგი ბადაშვილს, ყოფილ გენერალურ პროკურორს, დღეს კი ფინანსური პოლიციის შეფს.

„მეზღაპრეებმა“ კიდევ რამდენიმე კაცი, უფრო სწორად, პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირები, ახსენეს და ზედ ფეშქაშად ბატონი ბიძინას უახლოესი გარემოცვის წარმომადგენლებიც დაამატეს! (ზღაპრების ჟანრის მიხედვით, მათი გვარ-სახელები მომავალში აუცილებლად უნდა გამჟღავნდეს). გაოცებული და შეშინებული მსხვერპლი იწყებს გარკვევას - მისი ბიზნესის ექსპროპრიაციაში ნამდვილად არის ჩართული ბატონი ბიძინა ივანიშვილი (სიმწრისგან რას არ დაიჯერებ)? გამწარებულს ყველა კარი აჭედილი დახვდა, მანაც საოცრებას საოცრება დაახვედრა: ერთი ნაცნობი დაჰპირდა, - ჭორვილაში ბიძინას დედას შეგახვედრებო! მოუყევი ყველაფერი და იქნებ მან გიშველოსო!.. (გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!).

ვნახოთ, რა პასუხით ჩამოვა ჩემი ნაცნობი ბიზნესმენი ჭორვილადან და რა მოჰყვება ამ ამბავს...

ბატონო ბიძინა! არ შეიძლება რამენაირად ამ ტიპის უკვე არაერთ ზღაპარს ბოლო მოუღოთ?! ამოუვიდა ხალხს თქვენი სახელის ასე უნამუსო შელახვა! ერთმა ჭკვიანმა ებრაელმა ბრძანა: ქვის ხანა დასრულდა არა იმიტომ, რომ ქვები გათავდა, არამედ იმიტომ, რომ ახალი ტექნოლოგიები გამოჩნდა!!! ჩვენ ამ ახალი ტექნოლოგიების გამოჩენას რამდენი ხანი უნდა ველოდოთ? გაიგეთ, რომ ასეთ ხალხს არა თერაპევტი, არამედ ქირურგი სჭირდება, ქ-ი-რ-უ-რ-გ-ი!!!“

ჩვენ დავუკავშირდით ბატონ **ლაშა ამირეჯიბს** და ინტერვიუ ვთხოვეთ, რომელსაც ახლა გთავაზობთ.

— ბატონო ლაშა, რატომ გაგიჩნდათ სურვილი, მიგემართათ ბატონი ბიძინასთვის და ინტერნეტქსელით ეს განცხადება გაგევრცელებინათ?

— **ბიძინა ივანიშვილს** იმიტომ მივმართავ, რომ ძალიან ბევრი ბიზნმესმენი საქართველოში შეწუხებულია არც მეტი, არც ნაკლები, ე. წ. სამთავრობო რეკეტით. ზოგადი საუბარი რომ არ გამოგვივიდეს, კონკრეტულ მაგალითებს მოვიტან. როგორც მიმართვაშიცაა ნათქვამი, ერთ ბიზნესმენთან მივიდნენ ფინანსური სამსახურის სახელით და უთხრეს: თქვენი ბიზნესით დაინტერესებულია ბიძინა ივანიშვილი და უნდა დაუთმოო. როგორც გავიგე, უხსენებიათ ფინანსური პოლიციის შეფიც. ბევრი მცდელობის მიუხედავად, ამ ბიზნესმენმა სამართალი ვერსად იპოვა, ყველგან დაბლოკეს.

თითქმის იგივე პრობლემები შეექმნა ბიზნესმენს გია ნინიკაშვილს, რომელიც ამჟამად დაკავებულია. არ ვიტყვი, რომ გია ნინიკაშვილი ფინანსურმა პოლიციამ სრულიად უსაფუძვლოდ დააკავა. მას, სავარაუდოდ, ჰქონდა ბიუჯეტის დავალიანება, მაგრამ საქმე ისაა, რომ ფინანსურმა პოლიციამ ის, ფაქტობრივად, მოიტაცა. მანქანა წაართვეს, ორი-სამი საათის განმავლობაში ჰყავდათ ზესტაფონის სიახლოვეს, იქვე მიიღეს გადაწყვეტილება, როგორ მოქცეოდნენ მას და მერე ჩამოიყვანეს თბილისში.

ყველაზე საოცარი კი მაინც ის არის, რომ დაკავებულ ნინიკაშვილთან საკანში პროკურატურისა და ფინანსური სამსახურის თანამშრომლები შედიოდნენ და ეუბნებოდნენ, რომ თავისი ბიზნესი, მთელი დოკუმენტაციით, გადაეცა გიორგი კაპანაძის, მეტსახელად, „რიჟასთვის“.

როგორც ვიცი, იმ გიორგი კაპანაძეს კარგი ურთიერთობა აქვს პროკურატურისა და ფინანსური პოლიციის მაღალჩინოსნებთან.

კიდევ ვიმეორებ, როცა ნინიკაშვილზე ვსაუბრობ, არ გამომყავს ის უცოდველ კრავად, მას, ალბათ, ჰქონდა სახელმწიფო დავალიანება, მაგრამ, უნდა ითქვას, ნინიკაშვილის მიმართ განხორციელდა ძალადობა. ადამიანი გაიტაცეს და დღემდე აიძულებენ დათმოს საკუთარი ბიზნესი.

თუკი ნინიკაშვილის დაპატიმრება კერძო ინტერესებს არ ემსახურება, რატომ არ უფორმებს მას პროკურატურა საპროცესო შეთანხმებას, მაშინ, როცა, ზუსტად ვიცი, იმავე პროკურატურამ, რამდენიმე ნარკორეალიზატორი გირაოთი გაათავისუფლა — ის ადამიანები, რომლებსაც, კანონის გათვალისწინებით, სამუდამო პატიმრობა ეკუთვნოდათ.

— თქვენ იცით, პროკურატურამ რომელი ნარკორეალიზატორები გაათავისუფლა?

— სახელებსა და გვარებს ახლა არ დავასახელებ, ისედაც ყველა იცის მათ შესახებ.

კვლავ ნინიკაშვილს რომ დავუბრუნდე, მის საქმესთან დაკავშირებით, ფინანსური პოლიციის შეფს **გიორგი ბადაშვილს** შევხვდი. მან მწვანე შუქი აუნთო ამ ადამიანის ბიზნესსაქმიანობას. იმ დღიდან ერთი წელიწადი ნინიკაშვილის ბიზნესს არავინ შეხებია, თუმცა ორი თვის წინ ის ისევ დააკავეს. ვსვამ კითხვას — მე ან სხვა ვინმე რატომ უნდა ვთხოვდეთ ფინანსური პოლიციისა და სხვა სტრუქტურების მაღალი თანამდებობის პირებს ბიზნესების „გამწვანებას“?

— დაასახელეთ, კიდევ რომელ სტრუქტურებს გულისხმობთ.

— ჯერჯერობით მათი დასახელებისგან თავს შევიკავებ. კონკრეტული სახელები და გვარები რომ გავახმაურო, მერწმუნეთ, არცთუ ისე კარგი ამბები დატრიალდება.

ასეთი ვითარებაა და დარწმუნებული ვარ, ბატონმა ბიძინამ არ იცის ამის შესახებ.

საბოლოოდ კი ის შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი სტრუქტურების ლობირების გარეშე ბიზნესი დღეს საქართველოში არ არსებობს.

ძალიან ხშირად აცხადებენ, რომ ბიზნესს ჩვენთან ხელ-ფეხი აქვს გახსნილი, არის უდიდესი ხელშეწყობა და ა. შ. სინამდვილეში კი ზოგიერთი მაღალჩინოსნის დასტურის გარეშე თითსაც ვერავინ გაანძრევს. არაერთი ბიზნესმენისა და მეწარმისგან გამიგონია ეს...

გიორგი ბურჯანაძე:

ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ და კომპანია „ელფმა“ სასამართლოში მიჩივლონ ცილისწამებისთვის და მზად ვარ, ჩემს სიტყვებზე პასუხი ვაგო!

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვებს ცხენისა და კამეჩის ხორცს აჭმევენ, და ამის მთელი რიგი მტკიცებულებები გამაჩნია

2017 წლიდან ძალაში შევიდა ხორცისა და ხორცპროდუქტების სავალდებულო ეტიკეტირების წესი. ახალი რეგულაციების თანახმად, ხორცს ბაზარზე განთავსებისათვის ფორმა ნომერი 2-სა და ვეტერინარის ბეჭდის გარდა, შესაბამისი ეტიკეტიც უნდა ახლდეს. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ხორცის ეტიკეტირება მომხმარებლებს უხარისხო და მავნე პროდუქციის შეძენისაგან დაიცავს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „იურიდიულ და ფიზიკურ პირთა უფლებების დაცვა-ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე გიორგი ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ ძირეული საკანონმდებლო ცვლილებების გარეშე, არსებული რეგულაციების გამკაცრება საქმეს ვერ უშველის.

— სანამ ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების თემას შევეხებოდე, შეგახსენებთ, რომ რძის პროდუქტებზე იგივე რეგულაციების დაწესების მიუხედავად, მაღაზიის დახლებზე ნატურალური პროდუქციის სახით, ისევ ფალსიფიცირებული პროდუქტები იყიდება. ეს შეიძლება იყოს ფალსიფიცირებული იოგურტი, მაწონი, რძის ფხვნილით დამზადებული ყველი და ა.შ. ზუსტად იგივე მოხდება ხორცის პროდუქტებზე, რადგან კონკრეტული ბიზნეს-ოპერატორები სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსანთა მიერ არიან წახალისებული და ამ განუკითხაობის შედეგად, ისევ მომხმარებელი ზარალდება.

— სურსათის ეროვნული სააგენტო ხშირად მოუწოდებს მომხმარებელს აქტიურობისკენ და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, სააგენტოსთან დაკავშირებას თხოვს. როგორც მახსოვს, ზუსტად ერთი თვის წინ, ეტიკეტირების წესის დარღვევისა და ვადაგასული სურსათის რეალიზაციის გამო, 63 ბიზნეს ოპერატორი დააჯარიმეს..

— ეს ზღვაში წვეთია, რადგან დარღვევების მასშტაბი გაცილებით შთამბეჭდავია. რაც შეეხება მომხმარებლის აქტიურობას, როცა ბიზნეს ოპერატორების მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხს იგივე ბიზნეს ოპერატორების მიერ შექმნილი ლაბორატორიები ამოწმებენ, მომხმარებლის აქტიურობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ობიექტურ დასკვნას არავინ გასცემს. ყველას გვახსოვს, რომ 2005 წელს პარლამენტის დადგენილებით, სანიტარული ინსპექცია გაუქმდა, ამის შედეგად მაღაზიის დახლებზე ფალსიფიცირებული პროდუქციის რაოდენობამ მკვეთრად მოიმატა. სანიტარული ინსპექციის ფუქციები კი იმ კომპანიებმა შეითავსეს, რომლებსაც საქართველოში კვების პროდუქტები შემოაქვთ. როგორ ფიქრობთ, თავიანთ შემოტანილ პროდუქციაზე უარყოფით დასკვნას დაწერენ? შეგახსენებთ, რომ ამ ლაბორატორიებს შესაბამის საქმიანობაზე სახელმიფო ნებართვა აქვთ მინიჭებული და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მათ მომხმარებელთა უფლებების დაცვას ანდობს. გადავწყვიტეთ, რძის პროდუქტების ლაბორატორიული გამოკვლევები საზღვარგარეთ ჩაგვეტარებინა. საბოლოოდ, გაირკვა, რომ ჩვენი და ევროპული თუ თურქული ლაბორატორიების დასკვნები აბსოლუტურად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. შესაბამისი დასკვნების გაკეთება თქვენი მკითხველისთვის მიმინდია. სხვა შემთხვევებიც ყოფილა, როცა ერთ-ერთმა ლაბორატორიამ უარყოფითი დასკვნა დადო და წარმოდგენილი პროდუქცია საკვებად უვარგისად აღიარა, მაგრამ კანონმდებლობით, მეორე მხარეს ალტერნატიული ლაბორატორიული კვლევის ჩატარება შეუძლია. ერთის ნაცვლად, ორ დადებით დასკვნას მოიტანს და იმ უარყოფით დასკვნას გააქარწყლებს. სანამ ეს პრობლემა საკანონმდებლო დონეზე არ მოგვარდება, მანამდე ამ სისტემაში წესრიგი არ დამყარდება.

— თქვენი კავშირი სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ფაქტობრივად, მუდმივ კონტაქტზეა. ზემოთხსენებულ პრობლემებთან დაკავშირებით, სამინისტროს პოზიციის როგორია?

— საბედნიეროდ, ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობენ პატრიოტი ადამიანები, რომლებსაც საკუთარი თანამემამულეების და მომავალი თაობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე გული შეტკივა. რამდენიმე წლის წინ ფოთის პორტში 12 ტონა ქათმის ბარკალი შემოვიდა, რომელსაც ერთი წლის ვადაგასული დოკუმენტაცია ახლდა. რომ არა, სოფლის მეურნეობის მაღალჩინოსანი, რომელმაც ეს ინფორმაცია მოგვაწოდა ბარკლები დაუბრკოლებლად შევიდოდა სავაჭრო ქსელში და ხალხს დაწამლავდა. დროულად მიღებულმა ინფორმაციამ და სწრაფმა რეაგირებამ

7 ბ3.

←

უმძიმესი ვითარებაა სააფთიაქო ნარკომანიასთან დაკავშირებითაც. ქვეყანაში განუსაზღვრელი რაოდენობით შემოედინება ფსიქოტროპული პრეპარატები და ვრცელდება სააფთიაქო ქსელებში.

სააფთიაქო ნარკოტიკის მოსპობა ერთ დღეში შეუძლია ხელისუფლებას, თუმცა, სამწუხაროდ, არავინ იბერტყავს ყურს. ახლახან დაიჭირეს რამდენიმე აფთიაქის მეპატრონე, მაგრამ ამით არ აღმოიფხვრება პრობლემა. სააფთიაქო ნარკოტიკის შემოტანა ქვეყანაში კვლავ უკონტროლოდ ხდება. როგორც ცნობილია, წამალდამოკიდებული ადამიანი დღეში მინიმუმ 5-10 ლარს ხარჯავს, ქვეყანაში კი, თუ არ ვცდები, 350 000 ნარკოდამოკიდებულია და დამეთანხმებით, ეს თანხები კოლოსალურ ციფრებს აღწევს.

არც ამის შესახებ უწყის ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა.

დარწმუნებული ვარ, მისი გარემოცვა ეუბნება, რომ ყველაფერი კარგად არის. ბიზნესი ჰყვავის, ხალხი გენდობათ, რადგან კარგად ცხოვრობენ, ნდობა დიდია ისე, როგორც 2012 წელსო და ა. შ. სინამდვილეში კი ასე არ არის.

ყოველივე ამას იმიტომ ვლაპარაკობ, რომ მივიდეს ბატონი ბიძინას ყურამდე და გაიგოს, რა ხდება ზოგიერთ სახელმწიფო სტრუქტურაში.

— ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა რატომ უნდა იცოდეს ყველაფერი, ის აღარ არის პასუხისმგებელი პირი, ჩვეულებრივი მოქალაქეა.

— ჩვენ, ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა თუ ვიცით ქვეყანაში არსებული რეალობა, ბატონმა ბიძინამ რატომ არ უნდა იცოდეს?

იწამლება ერი და ხალხი, ამ საშინელი ნარკოტიკებით, დეგრადირდა ახალგაზრდობა, ქვეყნის მტრის ხელით შემოდის ახალგაზრდების გამანადგურებელი ნარკოტიკები და ქუჩაში რომ შეეკითხოთ ახალგაზრდა კაცს, ვინ დააარსა თბილისიო, გეტყვის — კობა ხაბაზმაო.

— კი, მახსოვს, საზოგადოებრივ მაუწყებელს ჰქონდა ქუჩის გამოკითხვები და ასეთი პასუხი გასცა ერთმა რესპონდენტმა.

— საზოგადოებრივ მაუწყებელში ხომ უმძიმესი ვითარებაა.

ვეთანხმები, „ნაცმოძრაობის“ დროს დაკომპლექტებული რედაქციები უნდა გაიწმინდოს, მაგრამ დაუფიქრებლად ამის გაკეთება, მგონი, არ მოგვიტანს კარგ შედეგებს.

საზოგადოებრივ მაუწყებელზე აუცილებლად უნდა დარჩეს ისეთი ტიპის გადაცემები, როგორიც არის, მაგალითად, „გააგრძელე საქართველოს ისტორია“. არა მგონია, ვასიკო მაღლაფერიძისთვის ბატონ ბიძინა ივანიშვილს ეთქვა — გაჩერეთ ეს გადაცემაო. **ბიძინა ივანიშვილი** თავისი ცხოვრებით საქართველოს ისტორიას თვითონ აგრძელებს და რატომ უნდა იყოს ამ გადაცემის წინააღმდეგი?

გამოდიან ხელისუფლების წარმომადგენლები და ამბობენ 410 000 000 დაიხარჯა ამ ტელევიზიისთვის და ჩვენ ხომ უნდა ვიცოდეთ, სად წავიდა ეს ფულიო. კი, მაგრამ, სხვას ვის უნდა ეკონტროლებინა ეს ამბავი, ოთხი წლის განმავლობაში თვითონ არ იყვნენ ხელისუფლებაში?

საბოლოო ჯამში, რაც ზემოთ ვთქვი იგივე ბიზნესრეკეტზე, ნარკობიზნესზე და ა. შ. ვინ უნდა აკონტროლოს? — რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ.

საზოგადოებამ მინდა იცოდეს — რამდენიმე ტელევიზიას მივმართე, რომ მესაუბრა იმ თემებზე, რაზეც ამ ინტერვიუში გელაპარაკეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა მოგახსენოთ, ჩემთვის კარი ყველგან დაკეტილია.

ერთ ხანს ტელეკომპანია „თრიალეთის“ ეთერში მიმყავდა გადაცემები, მაგრამ მერე ზრდილობიანად მითხრეს უარი. ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალება კი მე არ ვიცი. ქვეყანაში მძიმე ვითარებაა და მინდა იცოდეს ეს ბიძინა ივანიშვილმა, კაცმა, რომელმაც არაერთხელ იხსნა საქართველო გარდაუვალი დაღუპვისგან.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

მხოლოდ სოხუმი და ცხინვალი კი არა, პირველ რიგში, თბილისი გვაქვს დასაბრუნებელი

„დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებას, რომლის დევიზიცაა ამერიკა უპირველეს ყოვლისა, ისე აღვიქვამ, თითქოს ამერიკელი ზვიად გამსახურდია მოვიდა ამ ქვეყნის სათავეში. საქართველოში რომ ვინმეს ეთქვა, მხოლოდ ქართული წარმოების საქონელი იყიდეთ, ადგილობრივები დაასაქმეთო, აქაური ფსევდოლიბერალები ფაშისტად თუ ნაცისტად გამოაცხადებდნენ და კოცონზე დაწვავდნენ“.

ინტერვიუ „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე, ადვოკატ ნიკოლოზ მჟავანაძესთან.

- ამერიკაში რაც ხდება, ეს შემთხვევითი სულაც არ არის, რუსეთს ტყუილად ნუ აბრალებენ, მათ კი არ მოიყვანეს ტრამპი ხელისუფლების სათავეში, თვითონ ამერიკელები მიხვდნენ, რომ აღარ შეიძლებოდა ყველაფერი ძველებურად გაგრძელებულიყო. ამერიკამ ფაქტობრივად დაკარგა ავტორიტეტი, ყველგან ნეგატიური დამოკიდებულება ამ ზესახელმწიფოს მიმართ, მისმა პოლიტიკამ კრახი განიცადა ირანში, ერაყში, ლიბიაში და ა.შ. რაღაც უაცილებლად უნდა შეცვლილიყო, ამიტომაც დაუჭირეს ამერიკელებმა მხარი ტრადიციების პატივისმცემელ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანს და მართლაც შეიცვალა ამერიკის მიმართ მსოფლიოს დამოკიდებულება, მან გარკვეულწილად დაიბრუნა ნდობა. გლობალიზაციის პროცესი ჩიხში მოექცა, ყველა ცდილობს გათავისუფლდეს ფსევდოლიბერალური, ამ რაღაც ფაშისტური მიმდინარეობისგან გათავისუფლებას, ევროპაშიც ეროვნული იდეებისა და მსოფლმხედველობის მქონე ხალხი მოვა ხელისუფლების სათავეში, იქნება ეს საფრანგეთი, ჰოლანდია თუ გერმანია. შამწუხაროდ საქართველოში ძალიან ნელა მიდის ეს პროცესები, ისევ ფსევდოლიბერალების გავლენის ქვეშაა ჩვენი ხელისუფლება. მესმის, რომ ადვილი არ არის მათგან გათავისუფლება, ხომ ხედავთ, რამხელა წინააღმდეგობას აწყდება ამერიკის პრეზიდენტიც. იქ არის ტრანსნაციონალური კორპორაციები, ცენტრები, რომლებიც თავიანთი იდეოლოგიის მატარებელ, ანუ გლობალისტური, ფსევდოლიბერალური მიმდინარეობის პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს აფინანსებენ. ამ მიმდინარეობებს ეკუთვნიან ჰილარი კლინტონი და სენატორი მაკეინი. ვფიქრობ, საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას და ნაციონალებსაც ისინი აფინანსებენ. ნაცმოძრაობა ქარტული პროექტი ნურავის ეგონება, ნტანსნაციონალების შექმნილია, მათ აითვისეს ქართული მედია-

სივრცე, ძირითადად ტელევიზიები, ეს არასამთავროებები და და ე.წ. ექსპერტებიც მათი „შემოქმედებაა“, რომლებიც ყველგან მეტასტაზებივით არიან მოდებული. დროა, გავთავისუფლდეთ ამ „სენისგან“, რადგან თითქმის მთელ მსოფლიოში შეიცვალა მათ მიმართ დამოკიდებულება. ადრე თუ თავს იმით ვიმართლებდით, რომ გარკვეულწილად ამერიკული ზეწოლის ქვეშ ვიყავით, ამერიკის სახელმწიფო პოლიტიკა იყო, რომ ფსევდოლიბერალები ყოფილიყვნენ პრივილეგირებულნი, ახლა ვეღარ ვიტყვით, რადგან თვითონ ამერიკა აღარ არის ასეთი. ბიძინა ივანიშვილს პრემიერ-მინისტრობისას ამერიკის ელჩმა რომ უთხრა, თამარ ჩუგოშვილი უნდა იყოს თქვენი მრჩეველიო, ეს ხომ თავისთავად მიუთითებდა ვისი კანდიდატურაც იყო ეს ქალბატონი. ვიმეორებ, ამ ხალხისგან უნდა გავთავისუფლდეთ, ბევრნი არც არიან, სულ 100-150 ადამიანია ხსენებული იდეოლოგიის და მათგან 40-50 თუ იქნება აქტიურ პოლიტიკაში ჩართული, მაგდენი არც იქნებიან. ვერ გავიგე, რატომ უნდა ვიაროთ ოთხმა მილიონმა ადამიანმა ამ ასი კაცის ჭკუაზე. ქართულ მედიით რაც ხდება, ამას ძალადობა ჰქვია, რესპუბლიკურმა პარტიამ სამარცხვინოდ წააგო საპარლამენტო არჩევნები, ყველაფერი წააგო, მაგრამ ყველა ტელევიზიაში მაინც რესპუბლიკელები სხედან. ქირურგიული ჩარევაა საჭირო, უნდა ამოიკვეთოს ქვეყნის სხეულიდან ის არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე ელემენტები, რომლითაც გაჯერებულია მარტო პარტიები და სამოქალაქო სექტორი კი არა, ხელისუფლებაც.

- არასახელმწიფოებრივად აზროვნებაში რას გულისხმობთ?

- რუსეთის პრეზიდენტის განცხადების შემდეგ, რომელიც საქართველოსთან უვიზო მიმოსვლას ეხებოდა, გამობრძანდა ქალბატონი ჩუგოშვილი და თქვა, ეს რუსული პროვოკაციაა და ეს პროვოკაციები უნდა ავირიდოთო. თურმე ქართველი გლეხის რუსეთის ბაზარზე შესვლა, ურთიერთობების აღდგენა პროვოკაცია ყოფილა, ამას ჭკუათმყოფელი ადამიანი იტყვის? თანაც ამას ამბობს საიას თავმჯდომარე კი არა, საქართველოს პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი. ამას რომ მოისმენს რუსეთის ხელისუფლება, ხომ იტყვის, ესენი მგონი, დებილები არიან, არ უნდათ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა და ჩვენ რაღა გვრჯისო. უპირველესად ჩვენ გვჭირდება რუსეთის ბაზარი, თორემ ის პროდუქცია, რაც ჩვენ იქ უნდა გავასაღოთ, სხვა ქვეყნებიდანაც შევა. უბედურება ისაა, რომ ხელისუფლებაში ჩუგოშვილისნაირად მოაზროვნენი სხვებიც არიან, რომელთა უკანაც დიდი სახელმწიფოს რაღაცა ჯგუფის ინტერესები დგას, თავად ამერიკის კი არა, იმ ძალის, რომელიც პრეზიდენტ ტრამპს ებრძვის. მაკეინს, რომელიც ტრამპთან დაპირისპირებულია, მოგეხსენებათ პრეზიდენტი როგორ იხსენიებს ამ სენატორს და ისიც ითქვა, შეიძლება დავიჭიროთო, საქართველოში ისეთი დახვედრა მოუწყვეს, გეგონება იმპერატორი იყოს. არ არის ეს სამარცხვინო? ჩემი აზრით, ეს ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება იყო, ამაზე ვიღაცას ხომ უნდა მოეთხოვოს პასუხი. ხელისუფლება თვითონ თუ არ გათავისუფლდა ამგვარი პერსონებისგან, მერე თვითონ ხალხი გაათავისუფლებს და გაბრაზებულმა შეიძლება სხვებიც მიაყოლოს. აქამდე თავს ვიკავებდით, ვხედავდით რა ზეწოლაც იყო ოკეანისგაღმიდან ხელისუფლებაზე, ფაქტია, რომ ამერიკის ელჩმა (რა თქმა უნდა ის დამოუკიდებლად ვერ მოქმედებდა, მის უკან ამერიკის პრეზიდენტი იდგა) ერთი ხელის მოსმით გადააყენა პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მანამადე თავდაცვის მინისტრი მინდია ჯანელიძე. ღარიბაშვილმა თქვა ჯანელიძე არ გადადგებაო, მეორე დღეს კი მინისტრად თინა ხიდაშელი დანიშნა, ქალი,

რომლის მიმართ მისი დამოკიდებულება კარგად მოგვეხსენება. ან თვითონ პრემიერმა, რომელიც მისალოც ბარათებს უგზავნიდა ჟურნალისტებს და მომავალი წლის პროგრამა წარადგინა, მოულოდნელად განცხადება დაწერა გადადგომაზე. ვინმეს სჯერა, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა ეს საკუთარი სურვილით გააკეთა?! აი, ასეთი ზეწოლის ქვეშ რომ ვიყავით, ამხელა ქვეყანას პატარა საქართველო რომ ვერ მოერეოდა, ხალხი იმიტომაც ეკიდებოდა გაგებით ყველაფერს, ახლა ვითარება შეცვლილია. ღოგორ შეიძლება ის ადამიანები, რომლებსაც ყველაფერი ქართული ეზიზღებათ, ჩვენს ეროვნულ ღირებულებებს პატივს არ სცემენ, გაჰყვირიან ქართული მიწები უცხოელებზე უნდა გაიყიდოსო, ვითომ ძალიან ბევრი დაგვრჩა, როგორ შეიძლება ხელისუფლებაში იყვნენ, ან მათი გაპიარებით იყოს მედია დაკავებული. ამ ავადმყოფებისგან უნდა გაიწმინდოს ხელისუფლება. ჩუგოშვილს რომ ვაკრიტიკებდი, ჩემი ახლობლები, რომლებიც „ქართულ ოცნებაში“ არიან, მთხოვდნენ, რომ მწვავე განცხადებებისგან თავი შემეკავებინა, სხვათა შორის, ჩემი დამსახურებაცაა ჩუგოშვილი რომ არ გახდა პარლამენტის თავმჯდომარე, თორემ ეს საკითხი გადაწყვეტილი იყო.

ამ ვიზალიბერალიზაციითაც მაინც და მაინც ნუ გაგვიხვრიტავენ ყურებს, კარგია, მაგრამ ჩვენთვის ყველაზე მთავარი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. აგერ ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებამ რეგიონის სახელის შეცვლაზე რეფერენდუმი გამოაცხადა, ერთი ნაბიჯიღა დარჩა მის სრულ ანექსიამდე. იმის მაგივრად მოსკოვში ჩავდიოდეთ მოსალაპარაკებლად, რუსეთის მხრიდან უვიზო რეჟიმის შემოღებას პროვოკაციად თვლიან. რომელი რუსი პოლიტიკოსი დაჯდება იგივე ჩუგოშვილთან მოსალაპარაკებლად? ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა შეიგნოს ხელისუფლებამ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღები კრემლში დევს, ჩვენ თუ ასე ვიძახეთ,

რომ არ გვაინტერესებს რუსეთი რას იზამს, ძალიან ცუდ შედეგს მივიღებთ.

- ხელისუფლება თუ პასიურობს, საზოგადოებამ არ უნდა აიმაღლოს ხმა, როდემდე შეიძლება ასე ურეაქციოდ ვუყუროთ ნაციონალების გამოხტომებსა და ფსევდოლიბერალების ჭკუის სწავლებას, რომლებიც თურმე ხალხის სახელით ლაპარაკობენ?

- ეს დიდხანს არ გაგრძელდება, ხომ ხედავთ რუმინეთში რა ხდება, მთელი რუმინეთი ქუჩაში გამოვიდა, როცა ხელისუფლებამ კორუფციაში მხილებული ყოფილი ჩინოვნიკების ამნისტია მოინდომა, ეს იგივეა გიგი უგულავა რომ გამოუშვეს ციხიდან. თურმე გარკვეულ ოდენობამდე სახელმწიფო თანხის (100.000 ევრო) მითვისება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ უნდა ითვალისწინებდეს. ჩაუშესკუ რომ ჩამოაგდეს, მაშინ იყო ასეთი მძლავრი საპროტესტო აქციები. რუმინელები უკვე ამ კანონის გაუქმებას კი არა, ხელისუფლების გადადგომას ითხოვენ. ქართველი ხალხი ძალიან მომთმენია, მაგრამ ხელისუფლებას ნუ ჰგონია, რომ უსაზღვროა მისი მოთმინება. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ ნაბიჯები არ იდგმება, სამართლიანობა არ აღდგა, ყველგან თანამდებობებზე ფაქტობრივად ისევ ნაციონალები არიან, „ქართული ოცნება“ მუდმივად თავის მართლების რეჟიმშია, ამას ხალხი ვეღარ მოითმენს, ერთი ნაპერწკალი უნდა, ამიტომ ხელისუფლება უნდა გამოფხიზლდეს, თორემ შეიძლება უმართავი პროცესები დაიწყოს. კეთილი შურით მშურს ევროპელების, მათ ქართველებივით უამრავი ბრძოლა რომ არ გადაუტანიათ და არც საზღვრების პრობლემა აქვთ. ჩვენ 21-ე საუკუნეშიც ტერიტორიული საფრთხის წინაშე ვდგავართ, რადგან თურქეთის გარდა, არცერთ მეზობელ ქვეყანასთან არ გვაქვს საზღვრების დემარკაცია გაკეთებული. თურქეთთანაც წამგებიანად გვაქვს, მათი მოთხოვნა იყო გაგვეკეთებინა, წესით არ უნდა დავთანხმებოდით იმ საზღვრებს. ღოდესაც სომხეთთან და აზერბაიჯანთან დემარკაციას არ ახდენ, ხომ უნდა მიხვდე ხელისუფლებაში მყოფი მავანი, რომ ამ ქვეყნებს პრეტენზია აქვს ჩვენთან, ელოდებიან როდის დაგარტყან, თორემ აქამდე ხომ გააკეთებდნენ დემარკაციას, რა დიდი დაკვირვება უნდა, რომ ყველა კბილებს ილესავს. ჩვენ კი იმის მაგივრად, რომ ერთიანი, მონოლითური ქვეყნის ჩამოყალიბებაზე ვიზრუნოთ, უცხო ქვეყნების აგენტურა, ეს ვითომდა დემოკრატი პაოლიტიკოსები და ფსევდოლიბერალი არასამთავრობო ორგანიზაციები თავზე წამოვისვით, ესენი არიან მედიაშიც და ხელისუფლებაშიც, თუ ასე გაგრძელდა, ხვალ და ზეგ შეიძლება ძალიან ცუდი შედეგი მივიღოთ. მხოლოდ სოხუმი და ცხინვალი კი არა, პირველ რიგში თბილისი გვაქვს დასაბრუნებელი.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

5 გვ.

საშუალება მოგვცა, რომ პროდუქცია უკან დაგვებრუნებინა. მეორე შემთხვევაში ინფორმაცია დაგვიანებული აღმოჩნდა. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა სალმონელოზით დაავადებული 130 ტონა ქათმის ფარში შემოიტანა. შეგახსენებთ, რომ სალმონელოზი უმძიმესი დაავადებაა, რომელიც ხშირად, სასიკვდილო შედეგით სრულდება. სამწუხაროდ, მხოლოდ 15 ტონის ამოვაღება მოვახერხეთ, რადგან დანარჩენი უკვე გაყიდული იყო.

— ასეთ ვითარებაში მხოლოდ ის თუ გვანუგეშებს, რომ 100 გრადუსზე თერმული დამუშავებისას, სალმონელას ბაქტერიები და ნაწლავური ჩხირები იხოცებიან.

— თერმული დამუშავება რომ საქმეს შველოდეს, ჩინელები ჩვენზე ნაკლებად დაამუშავებდნენ? ქვაბი არა აქვთ თუ ტაფა? დაავადებული ხორცი დაავადებული ხორცია და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხი მატარებელია. აღნიშნული ფარში წარმოადგენს სალმონელას ბუდეს ნაწლავურ ჩხირზე რომ არაფერი ვთქვათ.. აქ კიდევ ერთი პრობლემაა.. თავის დროზე, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ადგილობრივი წარმოების განვითარებისთვის და მოსახლეობის დასასაქმებლად, ხალხს ფული მისცა და სასაკლაოები გაახსნევინა. ახლა იმ ხალხს ბიზნესი უვარდება, რადგან თურქეთიდან და ჩინეთიდან იაფად შემოდის სანაგვეზე გადაყრილი ფარში და მომხმარებელს, რომელიც ხარისხიანი და უხარისხო პროდუქციის გარჩევას ვერ ახერხებს, ძვირადღირებული ქართული ხორცის ყიდვას სალმონელოზით დაავადებული იაფი ფარშის ყიდვა ურჩევნია. ჩვენთან მოვიდა ქართველი მეწარმე და გვითხრა იმპორტირებული პროდუქციის კონკურენციას ვერ გავუძლებ, რადგან ახალი, საუკეთესო ხორცი მაქვს და ხარჯების გათვალისწინებით, 18-20 ლარზე ნაკლებად ვერ ვყიდი. ისინი იმ ჭირიან ხორცს დაახლოებით, 4 და 5 ლარად ყიდიან და ჩემი საქონელი აღარ იყიდებაო. არ მესმის, ვის ჭირდება ასეთი იმპორტის შემოტანა, რომელიც ქართულ წარმოებასაც კლავს და მოქალაქეებსაც გვიავადებს? რა თქმა უნდა, ამ პრობლემებზე სასაუბროდ, ვცდილობდით ხელისუფლების წარმომადგენლებთან კონტაქტზე გასვლას, მაგრამ აღმოვაჩინეთ, რომ ყველა ადამიანს, ვინც ასეთ ფაქტებზე რეაგირებას ახდენდა, მოგვიანებით პრობლემები ექმნებოდა.

ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ და კომპანია „ელფმა“ სასამართლოში მიჩივლონ ცილისწამებისთვის და მზად ვარ, ჩემს სიტყვებზე პასუხი ვაგო!

— იქნებ დაგვიკონკრეტოთ, ვის შეექმნა პრობლემა და რატომ?

— მაგალითად გეტვით, რომ პრობლემები შეექმნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს ქალაქის სამმართველოს უფროსს დავით ქავთარაძეს, რომელსაც მინისტრის მაშინდელმა მოადგილემ დავით გალიგაშვილმა დაავალა, რომ ჩვენი ორგანიზაციის მიწოდებული ყველა ინფორმაცია გადაემოწმებინა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება მოეხდინა. ასეც მოხდა და აღნიშნულმა სამმართველომ ჩვენს მიერ მიწოდებულ მასალებზე დაიწყო მუშაობა. შეგახსენებთ, ეს ის ის პერიოდია, როდესაც ქალაქის სამმართველომ ბაგა-ბაღებში შეტანილი გაფუჭებული ხორცი აღმოაჩინა. ავლაბარში და დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიებიდან საკვებად უვარგისი ხორცი ამოიღო და რამდენიმე სისხლის სამართლის საქმის წარმოება დაიწყო, მაგრამ მალე ბატონი დავითი თანამდებობიდან აბსურდული ბრალდებით გაათავისუფლეს. მეორე მაგალითს გეტყვით.. ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილედ მუშაობდა არაჩვეულებრივი ქალბატონი ეკატერინე გრძელიძე, რომელმაც ჩვენს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფი შეადგინა. ამ ჯგუფთან ერთად, რომელსაც ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს საფინანსო განყოფილების უფროსი ლექსო თოდუა ხელმძღვანელობდა, ბაღების ერთობლივ მონიტორინგს ვატარებდით. ჩვენი ერთობლივი მუშაობის შედეგად, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებიდან უამრავი გაფუჭებული და საკვებად უვარგისი პროდუქტის ამოღება მოხდა, თუმცა 6-7 თვის წინ ქალბატონი ეკატერინეც და ბატონი თოდუაც სამსახურიდან გაათავისუფლეს და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჩვენი და ჩვენისთანა ორგანიზაციების დასაყრდენი იყო მინისტრის, ოთარ დანელიას მოადგილე დავით გალეგაშვილი. პატრიოტი ადამიანი, რომელიც კანონით და მორალით ხელმძღვანელობს და მომავალი თაობის ჯანმრთელობა აღელვებს, წელს რატომღაც თანამდებობაზე არ დაამტკიცეს. როცა ასეთ ადამიანებს თანამდებობებიდან ხსნიან და ისეთებს ნიშნავენ, რომელთა დანაშაულებრივ ქმედებებზე უამრავი მტკიცებულება გვაქვს, რა შედეგი უნდა გვქონდეს? კაცი რომ იმის მტკიცებას დაგიწყებს, რომ თურქეთიდან შემოტანილი კარტოფილი ქართულზე უკეთესია, იმას რა უნდა ელაპარაკო? ამ ადამიანის ვინაობას ჯერ არ გავამხელ, თუმცა ამის დროც დადგება. სწორედ ასეთების წყალობითაა, რომ მთელ მსოფლიოში აპრობირებული ნიტრატმზომი ჩვენმა კანონმდებლობამ „ამოაგდო“. სამომხმარებლო ბაზარი თურქეთიდან და ირანიდან შემოტანილი ნიტრატებით გაჯერებული კარტოფილითაა სავსე. ტალახში ამოავლებენ და ქართულ კარტოფილად ასაღებენ.

— მოდით, ხორცსა და ხორცპროდუქტების სავალდებულო ეტიკეტირების წესს დავუბრუნდეთ. მომხმარებელმა როგორ უნდა შეძლოს ეტიკეტირების მიხედვით ხარისხიანი ხორცის ამოცნობა?

— ვიზუალურად ამის გარჩევა ძალიან რთულია. ამიტომ მომხმარებელი უნდა დააკვირდეს, როცა ხორცზე დარტყმულ ბეჭედზე ლურჯი ფერის მელნით ნაწერი არ იკითხება ან გადღაბნილია, ეს ნიშნავს, რომ ვეტერინარმა პასუხისმგებლობა მოიხსნა და მის ვინაობას ვერ დავადგენთ. შესაბამისად, ხორცი უხარისხოა ან დაავადებული. არც ისაა გამორიცხული, რომ ცხენის ან კამეჩის ხორცის საქონლის ხორცად გასაღებას ცდილობენ. აგლაძის ქუჩაზე სამაცივრე აგრეგატები დააყენეს, სადაც ცხენის და კამეჩის ხორცის დამუშავება მიმდინარეობს და ეს ხორცი პირდაპირ ბაგა-ბაღებში მიდის. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვებს ცხენისა და კამეჩის ხორცს აჭმევენ, და ამის მთელი რიგი მტკიცებულება გამაჩნია. რა თქმა უნდა, ძროხის ხორციც შედის, მაგრამ ძალიან დაბალხარისხიანი ხორცია. 15 ლარიანი ხორცის ნაცვლად, ბავშვებს 3 და 4 ლარიან ხორცს აჭმევენ. სავარაუდოდ, დანარჩენი ფული იმათ ჯიბეებში ილექება, ვინც ამ განუკითხაობას ვერ ან არ ამჩნევს. არა მარტო ხორცი, ჩვენი პატარები ნატურალურის ნაცვლად, პალმურ ზეთზე დამზადებულ რძის პროდუქტებს მოიხმარენ. მომედავოს კომპანია „ელფი“, რომ მათი შეტანილი რძისპროდუქტები ნატურალურია და ცილს ვწამებ. დაინტერესდეს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, განახორციელოს მონიტორინგი და დაარწმუნოს მშობელი, რომ გიორგი ბურჯანაძე მატყუარა და პროვოკატორია და ცილს სწამებს სამინისტროს, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს და ტენდერში გამარჯვებულ კომპანიანა „ელფს“. სასამართლოში მიჩივლონ ცილისწამებისა და პროდუქციის შეურაცხყოფისთვის და მზად ვარ, ჩემს სიტყვებზე პასუხი ვაგო, მაგრამ არავინ მისმენს.. აუცილებლად შარშანდელივით მატლი უნდა ამოვიღოთ ხორციდან, რომ ჩემს განცხადებას ყურადღება მიაქციონ? მოგეხსენებათ, ყველა ვადაგასული პროდუქტი განადგურებას ექვემდებარება. გვაჩვენონ, სად ნადგურდება ტონობით ვდაგასული პროდუქცია. არსად არ ნადგურდება, რადგან ძალიან მარტივად ახერხებენ ვარგისიანობის ვადის წაშლას და ახალი თარიღის მიბეჭდვას. როცა ქვეყანაში ასეთი განუკითხაობაა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩინოსნებს პრემიების აღების მორალური უფლება არ აქვთ. ჩვენი ჯანმრთელობის ხარჯზე ფულის კეთების საშუალებას არავის მივცემთ. საუბრის ბოლოს, იმედს ვიტოვებ, რომ პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი ოთარ დანელია, რომელმაც ძალიან კარგად იცის ჩვენი ორგანიზაციის ისტორია, მიზნები და ამოცანები, კანონპროექტებზე მუშაობის დროს, დაგვიძახებს და საშუალებას მოგვცემს, რომ განხილვებში ჩავერთოთ და ერთად შევქმნათ ისეთი კანონმდებლობა, რომელშიც ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება იქნება დაცული.

ნელი თორდია
571 35 36 88

ჯოჯოხეთის მაშხალად ქცეული „დემოკრატიის შუქურა“ და ბაბაიაგა ცოცხზე

„დემოკრატიის შუქურა“ რუსთავი-2 განსაცდელშია! რამოდენიმე დღის წინ, სიტყვის თავისუფლების დაცვის მოთხოვნით რვა პოლიტიკური გაერთიანებისგან შემდგარი საკოორდინაციო საბჭო, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები და მხარდამჭერები უზენაესი სასამართლოსკენ მსვლელობით გაემართნენ და „გულისამაჩუყებელი“ განცხადებებიც გააკეთეს. ნიკა მელიამ განაცხადა: შვილიშვილებისათვის ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ადგილი, სივრცე, სადაც ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ თავისუფლად იმ პრობლემების შესახებ, რომელიც ქვეყანაში ძალიან უხვად არისო.

ბაჩუკი ქარდავას თქმით, სიტყვის თავისუფლება არის დემოკრატიის უმთავრესი საფუძველი და ამიტომ, მუდმივად უნდა ვიყოთ მზადყოფნის რეჟიმში. პარტია რეფორმატორების თავმჯდომარე ირაკლი ღლონტმა კი აღნიშნა, რომ „დღეს წყდება

რუსთავი-2-ის ბედი და იარსებებს თუ არა პლურალისტული მედია“. რომ ვიკითხო სად იყვნენ ეს თავისუფალი სიტყვის და მედია დამცველები, როცა ჟურნალ-გაზეთებს დაერია მათი ბელადი, როცა „იმედი“ დაარბიეს, უამრავი უდანაშაულო ახალგაზრდა ქუჩაში ჩახოცეს, აწამებდნენ და აუპატიურებდნენ „ჯაშუშობის“ აღიარების მოთხოვნით და შემდეგ ზუსტად მათი საყვარელი დამარცხებული ტელევიზია „აპიარებდა“ ნაცტურების ხროვას, როგორი ოპერატიული და მაგარი ბიჭები იყვნენ. მათი „სახე“, ნანული ჟორჟოლიანი რომელმაც სავარაუდოდ წინასწარ იცოდა, რომ ვინმე „ოპერაციის“ დროს უნდა მოეკლათ, მიკროფონით ხელში სასწრაფოდ მირბოდა „შემთხვევის ადგილზე“ და „ოპერატიულად“ გადმოცემდა თავის მკვლელი, შემდგომში ქმრის და მისნაირი გარეწრების „საგმირო საქმეებს“, დაჰქროდა ნაყაჩაღარი ძვირფასი ავტომანქანით და ერთი ზარის გამო ახალგაზრდებს აუბედურებდა ჯერ ცემატყეპით და შემდგომ ნარკოტიკის ჩადებით მას არც სხვა“ რუსთაველი“ ჟურნალისტები ჩამორჩებოდნენ სისხლის სიყვარულში... გამაოცა გია ბარამიძის „მოთხოვნამაც“ კაცი რომელმაც ჯარის და მძიმე არტილერიის დახმარებით მიწასთან გაასწორა სვანეთში უდანაშაულო ოჯახი და დასისხლიანებული მიცვალებულების და დაჭრილების „ფონზე“ კუბდარი მოუნდა... სხვათაშორის, ამ სისხლიან კალოსაც ახლდა რუსთავი -2-ის სახე ნანული ჟორჟოლიანი. „თავისუფალ სიტყვას“ იცავდა ალბათ, სწორედ იმ დროს „გაუმხილა“ ატკვარცალებულმა სვან ახალგაზრდებს თავის ტელეფონის ნომერი... აღარაფერს ვამბობ იმ უამრავ დანაშაულზე რომელიც ნაცმოძრაობამ ამერიკული დემოკრატიის სახელით ჩაიდინა ჯორჯის და ჯონის ეგიდით. არ დარჩენილა არცერთი სფერო მათი ბინძური დამანგრეველი ხელი არ შეხებოდა. მორჩილ, ტვინგამორეცხილ მონებად აქციეს თავის მხარდამჭერები რომლებიც ვერ ხედავენ და არ ესმით რა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა მიშამ ნაცელიტასთან ერთად ქვეყანას. მარტო ის რად ღირს რომ საუკუნეების მტრები ნებაყოფილობით დაასახლა. 37 ათასი თურქი ჩამოგვისახლა, რომელთაგან 28 ათასს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა. და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა უცხო ქვეყნის მხოლოდ იმ მოქალაქეს შეიძლება მიენიჭოს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.“ თუ, მამინაცვლის სამშობლოს ასეთი პატივი დასდო, მაშინ ამდენ ჩინელს, არაბს და სხვა უამრავ ფერადკანიანს რა დამსახურებისთვის მისცა მოქალაქეობა, ბორდელები, რომ გაეხსნათ ქართველი ქალები დაესაქმებინათ და კაცები მცველებად აეყვანათ?

„ნაციონალები“ კიდევ ერთხელ დაგვემუქრენ, რომ დაბრუნდებიან, რა სასტიკობებს გვიზავენ როგორ ამოგვხდიან სულს... თან შეგვახსენეს რომ ამ ყველაფრისთვის ჩვენი თანადგომა ჭირდებათ, თორე ისე ჩემ იმანოს დაბრუნდებიან“ რაღაცნაირად გული დამეწვა, მათი უიმედოდ ჩამქრალი თვალების, მიჭმუჭნული სახეების და რიხ დაკარგული მყივანა ხმების მოსმენისას, კობა ხაბაზი მთლად წინდაცვეთითას გადაგდებულ ჩუჩის გამხმარ ნაჭერს გავდა, არც ახლად რეინკარნირებული „პადოშა“ გამოიყურებოდა ძველებურად პიტალოდ, ნუგზარს კისერი სულ გაქრობია და თავტრაკის საზღვარს მხოლოდ რაღაც სასწაულით ჩამოცმული ჰალსტუხით თუ დაუდგენდი, მხოლოდ ვიღაც ახალგაზრდას (ანტიკურ ძეგლებს სასირცხვო ადგილებში ხუჭუჭა თმები, რომ

აქვთ, ისეთი პრიჩოსკით) ვერ ვცნობდი, ბოლოს მისცეს სიტყვა, ამ ახალ თაობას მეგონა რაიმეს ახლებურს გვეტყოდა... არაა ესაც ესეთივე ჩვეულებრივი ასო აღმოჩდა“, – ამონაწერი ფეისბუქიდან.

თბილისი არც ადრე წყალობდათ გარეწრებს! საზოგადოებაში დღემდე აქტუალურია კითხვა- რატომ ბედავენ ამდენს ნაცელიტის სისხლის სამართლის დამნაშავეები, მკვლელები, ბიუჯეტის გამნიავებლები, ათასი სიბინძურის და სისასტიკის ჩამდენნი? პასუხი მარტივია - იმიტომ, რომ ჩადენილი დანაშაულის გამო არ იხდიან სასჯელს არ ზიან ციხეში. ვინც იჯდა ან ზის კი ისეთი კომფორტი აქვთ არცერთ პატიმარს არ ღირსებია მათი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში. არადა კონსტიტუციით კანონის წინაშე ყველა თანასწორია, ჩვენს რეალობაში? რათქმაუნდა არა. სამართალდამცავ ორგანოში, აღმასრულებელ ხელისუფლებაში თუ სხვა სტრუქტურებში, დღემდე მშვენივრად ლივლივებენ მამალი ნაცები, ყოფილი ნაცების ცნება - არ არსებობს რადგან სულით ისევ გარეწრები არიან. ხოლო თუ „ნათელი“ ნაცი არ იყო აღმასრულებელ ხელისუფლებაში მაშინ აუცილებლად სოროსის მიერ დაფინანსებული ენჯეოს გამოწვრთნილი კადრია და ყველა ნაცებს, გველეშაპსაც და ჯოჯოხეთის ხოჭოებსაც, ერთი გამთეთრებელ-მრეცხავი ყავთ რუსთავი-2-ის სახით.

„რუსთავი-2“ არაერთხელ იყო შემჩნეული ფინანსების არასწორ განკარგვაში და ნიშანდობლივია ისიც, რომ რუსთავი-2-ის არაერთი თანამშრომელი საეჭვოდ მეგობრობდა შსს-ს თანამშრომლებთან. ასე, რომ რაც იქ „იხარშებოდა“ მშვენივრად იცოდნენ შესაბამისმა სამსახურებმა. ეროსი კინწმარიშვილს რათქმაუნდა „უსმენდნენ“, მან ზურაბ ჟვანიასთან განახორციელა ზარი და დახმარება სთხოვა, ზურამ ურჩია მოეწოდებინა ხალხისთვის ტელევიზიის დასაცავად ქუჩაში გამოსულიყვნენ. ასეც მოხდა და ეს პროცესი აღარც შეჩერდა. ფაქტიურად დაჩქარდა შს და უშიშროების მინისტრის გადადგომა. საბედნიეროდ, დღეს არცერთი არ უჩივის ბედს. სამწუხაროდ ბელადმა ბოროტებით გადაუხადა ზურაბ ჟვანიას გაწეული სამსახურის საფასური. ეროსის სიკვდილიც, მკვლელობა თუ თვითმკვლელობა ისევ მიშას აწყობდა და სხვას არავის. გამარჯვებული ტელევიზიის გვირგვინი ცხრა წელიწადი ატარა რუსთავი-2 მა მიშას და ნაცხროვის ცხოვრებით იცხოვრა, ათასი სისაძაგლე აპიარა და ბევრი ტალახიც წმინდა, ჰოდა ეხლა რთულია შეეგუო, რომ დამარცხებული ტელევიზია გერქვას. არც საშუალება ამართლებს ყოველთვის მიზანს და ვინც არ ებრძვის ბოროტებას, ის ბოროტების გავრცელებას უწყობს ხელს. ვინც ბოროტებას ეგუება, ის თანამშრომლობს ბოროტებასთან. დიახ, რუსთავი-2 იმსახურებს ბოროტების გამავრცელებელი ტელევიზიის სტატუსს და დამსახურებულად ატარებს კიდეც, მართალია მათ „დირეხტურს“ მოკლე მეხსიერება აქვს, მაგრამ საზოგადოებას კარგად ახსოვს რას რაკრაკებდა იმედის დარბევის დროს, როგორ და რატომ მიმართეს სასამართლოს იმედის დასაყადაღებლად. პროკურორობის დროსაც მთავარი ქინძის შნირი იყო და ეხლაც ვერ გასცდა ძველ მოვალეობას. თავისუფალი სიტყვის დაცვის სურვილი, როცა მაესტრო, იბერია, მეცხრე არხი და სხვა ტვ-ბი დახურეს მაშინ არ გახსენებია? ფეისბუქში გავრცელებულია მოსაზრება, რომ - „რუსთავი-2“ მაყურებელს კონკრეტულად გვარამიამ შეაძულა! მობილური არხი საკუთარ, პრივატულ ტრიბუნად აქცია და ისე მოაჯდა, როგორც ბაბაიაგა ცოცხს!...

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

გლდანის ციხის აზერბაიჯანელი პატიმარი საქართველოს მოქალაქეობას ითხოვს

გვესაუბრება უფლებადამცველი, ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის ხელმძღვანელი, ბატონი გრიგოლ გაგნიძე.

— ჩვენი ორგანიზაცია ადვოკატ ამბარდნიშვილთან ერთად, მონიტორინგს უწევს აზერბაიჯანელი მოქალაქის ადილ ნასიროვის უფლებების დაცვას. ნასიროვი უკვე მესამე თვეა საქართველს სასჯელაღსრულების სისტემის პატიმარია. იგი ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოში ბიზნესს ეწეოდა.

— დანაშაული საქართველოში ჩაიდინა?

— როგორც აღმოჩნდა, ადილ ნასიროვი აზერბაიჯანის ხელისუფლებისგან იძებნებოდა თაღლითობის გამო. ბატონი ნასიროვი აზერბაიჯანის ერთ-ერთი კვალიფიცირებული ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის მიერ დადებითად ხასიათდება და ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, დავიცვათ მისი ინტერესები მართლმსაჯულების წინაშე. ბატონი ნასიროვის საქმე ახლა იმიტომ მოვიყვანე, რომ ეს ადამიანი სასტიკი წინაღმდეგია აზერბაიჯანში, ანუ თავის სამშობლოში ექსტრადირების. მისი ახლობლებიც მიიჩნევენ, რომ უმჯობესია მან სასჯელი საქართველოს ციხეში მოიხადოს, რადგან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და აზერბაიჯანის პენიტენციარული სისტემის საპყრობილეში ყოფნა, შეიძლება, მისი სიცოცხლისთვის საშიში აღმოჩნდეს. შიშობენ, რომ მის წინააღმდეგ მოსალოდნელია განხორციელდეს წამება და არაადამიანური მოპყრობა.

— ანუ აზერბაიჯანის სასჯელაღსრულების სტრუქტურებში ასეთი რამეებიც ხდება?

— მე წარმოგიდგენთ 2014-16 წლების საერთაშორისო ორგანიზაციებისა და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნებს აზერბაიჯანის პენიტენციარულ სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ. აქ აღწერილია უმძიმესი ვითარება. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლომ 2016 წლის ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება რუსლან ხალილოვისა და სხვა 15 აზერბაიჯანელი მოქალაქის გამართლების შესახებ. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანში ავიწროებენ და დევნიან არასამთავრობო ორგანიზაციებს. ათობით ბიზნესსექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს აქვს შეტანილი სარჩელი სტრასბურგის სასამართლოში შევიწროებისა და უკანონო დევნის გამო, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან.

ქართული საზოგადოება იცნობს ბატონ **გიორგი გოგიას**, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაცია „ჰიუმან რაითს ვოტჩის“ წარმომადგენელია ამიერკავკასიაში. 2015 წელს ბატონი გიორგი ბაქოში არ შეუშვეს, სადაც საქმიანი ვიზიტით მიემგზავრებოდა — ის უნდა დასწრებოდა დაკავებული ჟურნალისტი უფლებადამცველების სასამართლო პროცესს. ბატონი გოგია 30 საათის განმავლობაში ბაქოს აეროპორტში იყო დაკავებული და შემდეგ უკან გამოაბრუნეს. რადიო „თავისუფლებამ“ ყველა ენაზე, „ნიუ-იორკ თაიმსმა“ და მსოფლიოს სხვა წამყვანმა მედიასაშუალებებმა დიდი აჟიოტაჟი ატეხეს მაშინ ამ თემაზე. წამყვანი გაზეთები წერდნენ: „აზერბაიჯანის ხელისუფლებამ „ჰიუმან რაითს ვოტჩის“ წარმომადგენელი ქვეყანაში არ შეუშვა“ და ა. შ. ასე რომ, მე ახალს არაფერს ვამბობ, მსოფლიომ იცის, რა ხდება აზერბაიჯანში.

კვლავ ადილ ნასიროვს მივუბრუნდები. 2014-15 წლებში მან ბიზნესკონტაქტი დაამყარა ირანელ ბიზნესმენთან. მათ შორის კონფლიქტში სამოქალაქო სასამართლოს ჩარევის შემდეგ ნასიროვი გამართლდა.

— კვლავ გკითხავთ: საქართველოში რაიმე სახის დანაშაული ჩაიდინა? აბა, რატომ დააკავეს აქ?

— მას ბიზნესსაქმიანობის გაშლა სურდა საქართველოში. რამდენიმეჯერ ჩამოვიდა კიდევაც თბილისში. ერთ-ერთი ვიზიტისას ის დააკავეს, რადგან აღმოჩნდა, რომ აზერბაიჯანის მართლმსაჯულებას მასზე წითელი ცირკულარით ძებნა ჰქონდა გამოცხადებული.

ნასიროვი დღეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გლდანის საპყრობილეში დროებითი მოთავსების საკანში საექსტრადიციო პატიმრობაშია. მას აქვს უფლება კიდევ რამდენიმე პროცედურა გაიაროს და ექსტრადირების ვადა გადასწიოს, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ მას იმდენად არ სურს სამშობლოში მოიხადოს სასჯელი, რომ მზად არის უარი თქვას აზერბაიჯანის მოქალაქეობაზეც კი და სასჯელის მოხდის შემდეგ ბიზნესსაქმიანობა საქართველოში გააგრძელოს.

— მსგავსი პრეცედენტები არსებობს?

— მაგალითად, 2013-14 წლებში აზერბაიჯანის მოქალაქე დაშგინ აღალარლი კატეგორიულად ითხოვდა საქართველოში პოლიტიკურ თავშესაფარს. ის ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი გახლდათ. დაშგინ აღალარლი და მისი ვაჟი პოლიტიკური დევნილის სტატუსს ითხოვდნენ საქართველოში დასარჩენად.

ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არანაკლებ მძიმე მდგომარეობაა თურქეთშიც.

— მოდით, ასეც მოვუდგეთ საკითხს: ზოგიერთს, ვისაც საკუთარ ქვეყანაში დაბრუნება არ სურს, იქნებ არ ჩაესვლებათ იქ? შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ ხომ შეიძლება ასეთი ფაქტიც არსებობდეს?

— გასაგებია, მაგრამ, მაგალითად, ადილ ნასიროვი, რომელიც წარსულში არავითარ სამართალდარღვევაში არ არის ეჭვმიტანილი, თავისუფლად მიმოდიოდა თბილისსა და ბაქოს შორის თვეების განმავლობაში, ორ ინსტანციაში ირანელ ბიზნესმენს მოუგო სასამართლო პროცესი, ბოლოს საქალაქო სასამართლოში პროცესს რომ აგებდა, ირანელმა იჩივლა პროკურატურაში, გამონახა გზები ხელისუფლებისკენ და საქალაქო სასამართლოში ნასიროვმა პროცესი რომ მოიგო, მერე გამოაცხადეს მასზე ძებნა. სწორად გამიგეთ, მე შერჩევით სამართალზე ვლაპარაკობ. ადამიანი გამართლდა და იგივე საქმეზე პროკურატურის გადაწყვეტილებით აკავებენ. ჩნდება მოსაზრება, რომ ირანელ ბიზნესმენთან რაიმე სახის კორუფციულ ან მაფიოზურ კავშირში შევიდნენ გარკვეული სამსახურების წარმომადგენლები.

ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ პენიტენციარული სისტემის გაუმჯობესების თვალსაზრისით საქართველოში უკეთესი მდგომარეობა გვაქვს, თუმცა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით საპარლამენტო კომისიას მე მაინც წარვუდგინე ჩემი წინადადებები ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესების კუთხით.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ძლიერი რეგიონები ძლიერი

დუშეთი

დუშეთში ტურიზმის განვითარების სტრატეგიას განიხილავენ

დუშეთში, ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელზეც ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიებისა და მისი მიმდებარე ზონის ტურიზმის განვითარების სტრატეგიაზე იმსჯელეს.

ამ სტრატეგიის შემუშავება მიმდინარეობს იმ პროგრამის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაა „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში — საქართველო“ (2014-2019) და გერმანელი და ადგილობრივი ტურიზმის ექსპერტების დახმარებით ხორციელდება. სტრატეგიის შემუშავების დასრულება 2017 წლის აპრილშია ნავარაუდები.

შეხვედრას უძღვებოდნენ ტურიზმის ექსპერტები შტეფან შულეინი და ლელა ხარატიშვილი. სტრატეგიის განხილვას ესწრებოდნენ მცხეთა-მთიანეთის რეგიონული განვითარების სააგენტოს, ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ხელმძღვანელები, აგრეთვე — „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში — საქართველოს“, ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის წარმომადგენლები.

შეხვედრას ესწრებოდა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვაჟა ჩოხელი.

ახალი საავადმყოფო ხარაგაულში

ორსართულიანი, 14-საწოლიანი, თანამედროვე სტანდარტებს მისადაგებული საავადმყოფო ხარაგაულში 2016 წელს ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსებით აშენდა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკო თოფურიძემ, მოადგილე თემურ ჩხეიძესთან ერთად, ხარაგაულის ახლად აშენებული საავადმყოფო დაათვალიერა.

„წარმოებულია დედოფლისწყაროში“

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ თვითმმართველობის წარმომადგენლები, ადგილობრივი ბიზნესმენები, მეწარმეები და ფერმერები. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს ბიზნესფორუმების სხვადასხვა საკითხი. დაისახა აგრეთვე გეგმები ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის — „წარმოებულია დედოფლისწყაროში“ — პოპულარიზაციისთვის შემდგომი ნაბიჯების განსახორციელებლად.

ყვარელი — ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი მევენახეებს შეხვდა

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი გიორგი სამანიშვილი, გუბერნატორის პირველ მოადგილესთან ირაკლი შიოშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებთან ერთად, მევენახეებს შეხვდა. საუბარი შეეხებოდა ქართული ღვინის წარმოებისა და მისი ექსპორტირების საკითხებს, სტატისტიკასა და ბაზრის მოთხოვნებს.

სააგენტოს ხელმძღვანელის თქმით, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ქართული ღვინის რეალიზებასა და სტიმულირებას სხვადასხვა საშუალებით, იქნება ეს ცნობადობის ამაღლება თუ მარკეტინგული გათვლა; მსოფლიო ბაზარზე უნდა გაჩნდეს და გაიზარდოს მოთხოვნა ქართულ ღვინოზე.

დიალოგის რეჟიმში მიმდინარე შეხვედრაზე იმსჯელეს ყველა იმ საკითხზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ღვინის წარმოებაში, მათ შორის — ყურძნის მოსავლიანობასა და მის ფასზე.

გამოითქვა სურვილი, რომ შემდეგი შეხვედრა დაიგეგმოს ღვინის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად, რათა მევენახეებმა და მეწარმეებმა ერთობლივად განიხილონ მნიშვნელოვანი საკითხები.

ბორჯომში გზების მოწესრიგება მიმდინარეობს

ბორჯომში ცენტრალურ მაგისტრალზე აქტიურად მიმდინარეობს ორმოულების შეკეთება.

როგორც გამგებელმა დიმიტრი ყიფიანმა აღნიშნა, სამუშაოები დაბა ახალდაბიდან დაიწყო და სოფელ ლიკანის ჩათვლით გზის ყველა დაზიანებულ უბანზე ეტაპობრივად გაგრძელდება.

გზების კეთილმოწყობა ამინდის გაუმჯობესებისთანავე დაიწყო. აღსანიშნავია, რომ გაზაფხულიდან, შესაბამისი კლიმატური პირობების დადგომისთანავე, დაგეგმილია გზების სრული რეაბილიტაცია.

ცენტრალურ მაგისტრალზე სამუშაოებს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ასრულებს, ადგილობრივი ძალებით კი ქვიშა-ღორღისგან ინტენსიურად იწმინდება ქუჩების მიმდებარე ტერიტორიები.

სამუშაოები დიდთოვლობისა და მკაცრი კლიმატური პირობების შედეგად გზების დაზიანების გამო აუცილებელი გახდა.

გუბერნატორი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლის რწმუნებულებს შეხვდა

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია მოადგილესთან, ზუგდიდის გამგებელთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად სოფლის რწმუნებულებს შეხვდა. გუბერნატორმა 48-ავე სოფლის რწმუნებულისგან სოფლებში არსებულ საჭიროებებსა და პრობლემებზე დაწვრილებითი ინფორმაცია მიიღო.

ლევან შონიამ მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაგეგმილ მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ყველა მათგანი მოსახლეობის საჭიროებებზე იქნება გათვლილი.

„განსაკუთრებული როლი გაკისრიათ, რადგან თქვენ ჩვენამდე მოგაქვთ თითოეული სოფლის ტკივილი, პრობლემა, მოთხოვნა. ყველაზე კარგად თქვენ იცით სოფლის საჭიროებანი. ისინი ჩვენემდე უნდა მოიტანოთ, რათა მაქსიმალურად შევძლოთ მათი მოგვარება“, — აღნიშნა გუბერნატორმა რწმუნებულებთან შეხვედრაზე.

ზუგდიდის გამგეობის საქტო დარბაზში გამართულ შეხვედრაზე მხარის გუბერნატორმა თხილის მავნებლის წინააღმდეგ ჩასატარებელ სამუშაოებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ პრობლემის მოგვარებაში ადგილობრივებს მთავრობა დაეხმარება:

„1,5 ჰექტრამდე უფასოდ შეიწამლება, რაც შეეხება უფრო დიდ, კომერციულ ფართებს, აქაც გვეხმარება მთავრობა და წამლის შეძენა შეღავათიან ფასებში იქნება შესაძლებელი. სწორედ

ზუგდიდი

თქვენ გაკისრიათ ძალიან დიდი როლი, რომ არ დარჩეს არც ერთი ნაკვეთი შეწამვლის გარეშე. შეიქმნება მთავარი შტაბი ზუგდიდში, შტაბები უნდა შეექმნათ უშუალოდ სოფლებშიც, სადაც გვეყოლებიან მოხალისეები და გაწერილი კალენდრული გეგმის მიხედვით მოვახდენთ მავნებელთან ბრძოლას“, — განაცხადა ლევან შონიამ.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, სოფლის რწმუნებულებმა ძირითად საჭიროებად შიდა გზებისა და წყლის სისტემების მოწესრიგება დაასახელეს.

სენაკი — „სტუდენტები თვითმმართველობისთვის“

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ მიიღო სტუდენტების ჯგუფი, რომლის წევრები მონაწილეობენ არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ პროექტში „სტუდენტები თვითმმართველობისთვის“. შეხვედრაზე ისაუბრეს მუნიციპალიტეტში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. გამგებელმა უპასუხა სტუდენტების შეკითხვებს, რომლებიც ადგილობრივი ბიუჯეტით გაწერილი სოციალური, ინფრასტრუქტურული და კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზებს შეეხება. სტუდენტებმა გამგებელთან ერთად განიხილეს მათ მიერ ჩატარებული ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები.

აღსანიშნავია, რომ პროექტის მიხედვით, რომელსაც ორგანიზებას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი უწევს, სტუდენტური გუნდები ჩადიან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ეცნობიან კონკრეტული მუნიციპალიტეტის პრობლემებს და მათი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარების შესახებ საკუთარ მოსაზრებებს უზიარებენ ადგილობრივ ხელისუფლებას. ასეთი მოდგომა ხელს უწყობს საზოგადოებრივ პროცესებში სტუდენტების თანამონაწილეობის მნიშვნელობის გაზრდას, ახალგაზრდა პროფესიონალების მომზადებასა და თვითმმართველობის საქმიანობაში მათ ჩართვას.

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელი მიესალმა პროექტში მონაწილე სტუდენტების აქტივობას და აღნიშნა, რომ მზადაა, გვერდში დაუდგეს სტუდენტებს კვლევების ჩატარების პროცესში.

ყვარელი

გორი — საინფორმაციო შეხვედრა პესტიციდების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის თემურ (თენგიზ) ხუბულურის ინიციატივით, გორის რაიონში მოქმედ ფერმერებთან და გლეხებთან გაიმართა შეხვედრა იმპორტირებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ვარგისიანობის შესახებ. შეხვედრას ესწრებოდნენ შიდა ქართლის გუბერნატორი კახა სამხარაძე, გორის

საქართველოსთვის

მუნიციპალიტეტის გამგებელი დავით ონიაშვილი, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე ზურაბ ლიპარტია. მხარეებმა საქართველოში შემოტანილი პესტიციდების გამოყენების შედეგად აგროსექტორში წარმოქმნილ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრეს. ფერმერების განცხადებით, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ტარაზე მითითებული ვარგისიანობის ვადები ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება სინამდვილეს. შედეგად, მოსაყვან პროდუქციას სერიოზული ზიანი ადგება, რაც პროდუქციის საბაზრო ფასზე ნეგატიურად აისახება.

მაჟორიტარი დეპუტატის, თემურ ხუბულურის განცხადებით, სტანდარტების შეუსაბამო პესტიციდების შემოტანის შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან კიდევ უფრო უნდა გამკაცრდეს წესები, რათა გლეხობა აღარ დადგეს მათთვის მეტად საჭირბოროტო პრობლემების წინაშე.

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილის ზურაბ ლიპარტიას განმარტებით, პესტიციდების ფალსიფიკაცია სერიოზული ზარალის მომტანია სოფლის მეურნეობისთვის. ამიტომაც შეხვედრაზე მყოფ მცენარეთა დაცვის საშუალებების იმპორტიორებს კიდევ ერთხელ გააცნო ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული, ვადაგასული, გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული აგროქიმიკატის ან პესტიციდის რეალიზაციას უკავშირდება.

„წინასაარჩევნოდ გორის მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში ვიყავი და ყველგან ერთსა და იმავე პრობლემას ვაწყდებოდი. გამოსაყენებლად უვარგისი პესტიციდები ჩვენი გლეხობის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. დღევანდელ შეხვედრაზე ფერმერებისა და გლეხებისგან მოვისმინეთ იმ სავალალო შედეგების შესახებ, რაც საქართველოში იმპორტირებულ აგროომიკატების მოხმარების შედეგად მიიღეს.

ახალი საკანონმდებლო ცვლილებები ფალსიფიცირებული პესტიციდების შემოტანის შემთხვევაში იმპორტიორს სანქციებს აკისრებს. ვფიქრობ, სახელმწიფომ კიდევ უფრო უნდა გაამკაცროს წესები და დააწესოს ფინანსური სანქციები, რათა ჩვენი გლეხების თავდაუზოგავი შრომის შედეგად მოყვანილი პროდუქცია კონკურენტუნარიანი იყოს“, — განაცხადა გორის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა თემურ (თენგიზ) ხუბულურმა.

წალენჯიხა — „მოქალაქეთა თანამონაწილეობა უკეთესი თვითმმართველობისათვის“

ასოციაცია „დეას“ ორგანიზებით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებისთვის გაიმართა შეხვედრა თემაზე „თანამონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესების წარმართვა“. პროექტის შესახებ ისაუბრა თვითმმართველობის საკითხების ექსპერტმა დავით ყიფიანმა, რომელმაც იმავდრულად კონსულტაცია გაუწია შეკრებილებს.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მოქალაქეთა თანამონაწილეობა უკეთესი თვითმმართველობის სისტემის შესაქმნელად. კოორდინატორის ფასილიტაციით დეტალურად განიხილეს საერთო კრების ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები.

ტრენინგი ადამიანის უფლებების დაცვის თემაზე

დმანისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები რუსთავის მერიაში ადამიანის უფლებების დაცვის თემაზე გამართულ სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობების მხარდაჭერით, რუსთავის მერიის სათათბირო დარბაზში ტრენინგი გაიმართა.

ტრენინგის თემა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები, დისკრიმინაციის აკრძალვა, გამოხატვის თავისუფლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა იყო. ორგანიზატორების განცხადებით, შეხვედრა მიზნად ისახავდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთათვის ადამიანის უფლებების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესახებ იფორმაციის მიწოდებას.

ტრენინგს ქვემო ქართლის გუბერნატორი პაატა ხიზანაშვილი, რუსთავის მერი დავით ჯიქია და ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების გამგებლები ესწრებოდნენ.

შუახევის გამგებელი კაკალაძეების უბნის მოსახლეობას შეხვდა

ტარიელ ებრალიძე ნიგაზეულში მცხოვრებ კაკალაძეების უბნის მოსახლეობის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრას მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ზვიად დიასამიძე და გამგებლის წარმომადგენელი ზამლეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ივერი კაკალაძე ესწრებოდნენ.

შარშან სოფელ ნიგაზეულში მცხოვრები ოჯახები შეისწავლა სპეციალურმა კომისიამ. შესწავლის შედეგად 48 საცხოვრებელ სახლს აღენიშნა მცირე დაზიანებები. მათ „შუახევიჰესის“ მშენებარე კომპანიისგან მიიღეს კომპენსაცია. მათ შორის კომპენსაცია მიიღო კაკალაძეების უბანში მცხოვრებმა 9 ოჯახმა. უბნის დარჩენილი მოსახლეობა (15 ოჯახი) უკმაყოფილოა შესწავლის შედეგებითა და საკომპენსაციო თანხების გაცემით და ხელმეორედ შემოწმებას მოითხოვს.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი დაჰპირდა მათ, რომ პირადად ჩაერთვება გადამოწმების პროცესში და კომპეტენტურ კომისიასთან ერთად შეამოწმებს იმ ოჯახების მდგომარეობას, რომლებიც კომპენსაციას ითხოვენ.

ძმებო, ებრაელებო, 26 საუკუნე გიფარავდით და გეფერებოდით, თქვენ კი ზიზღით და სიძულვილით გვიხდით სამაგიეროს?!

ორიოდე თვის წინ ჩემი ახლობელი გაემგზავრა ისრაელში სამუშაოს საძებნელად, თუმცა ერთი კვირის შემდეგ დეპორტირებული და დათრგუნული დაბრუნდა საქართველოში, ნატანჯი და დამცირებული, თითქოს ის ერთი კვირა ციხეში გაეტარებინოს.

ახლა დეტალურად არ მოვყვები, რა დამცირებას გაუძლო იმ ჩვენმა თანამემამულემ ებრაელი მესაზღვრეებისგან, გავიმეორებ მხოლოდ იმას, რასაც ჩემი ახლობელიც დღემდე წუხს: ყველაზე ცუდად ქართველებს და უკრაინელებს გვექცეოდნენ, ჩვენს ქალებს, ვითომ შემოწმების მიზნით, სინამდვილეში კი დასამცირებლად, აშიშვლებდნენ და მერე ივრითულად უშნოდ ეღლიცინებოდნენო. სხვებს ვერავის უბედავენ ჩვენნაირ დამცირებას. თურქების მიმართ განსაკუთრებულ მოწიწებას იჩენენ. თურქი ტურისტები ჯგუფებად შედიან, აგდებულად ექცევიან ებრაელ მესაზღვრეებს და ისინიც ხმას ვერ იღებენო.

ასეთი შემთხვევები არაერთია, თითქმის ყოველ ემიგრანტს, ისრაელში სტუმრად მიმავალ ყველა ქართველს შემთხვევია იგივე. მესაზღვრეები კი არა სადამსჯელო რაზმია, საემიგრაციო ოთახი საკონცენტრაციო ბანაკს ჰგავს — სიბინძურეში შეყრილი ათობით ქართველის გოდება ისმის, წყალს არ გაწვდიან, საჭმელად კი აყროლებულ ლობიოს და ბრინჯსო, ჰყვებიან ისრაელში ტანჯვაგადატანილები.

ყველა ქართველს საზღვარზე და მერე ისრელის ქვეყანაში ერთი და იგივე პრობლემა ხვდება. თუ ქვეყანაში შეაღწიე, მუდმივი თვალთვალის და დევნის ობიექტი ხდები, თურმე. ორიოდე გროშისთვის იძულებული ხდები საცხოვრებელი ორ კვირაში ერთხერ მაინც გამოიცვალო, რადგან არ იცი, ებრაული დაზვერვა როდის მოგაკითხავს და შენს საბუთებში სიყალბეს როდის აღმოაჩენსო...

ქართველს უყვარს თავისი მიწა და სამშობლო. გაჭირვება რომ არა, არავინ წავიდოდა არსად. გაჭირვება უბიძგებს ქართველ კაცს თავის ისტორიულ მეგობრებთან, ებრაელებთან გაიქცეს... ისრაელი მეგობარი სახელმწიფოაო, ვიზა ჩვენს შორის რა საჭიროაო, საქართველოს და ისრაელს შორის კარები ღიააო. სიტყვით ერთს ამბობენ, საქმით — სხვას აკეთებენ. აბა, რა საჭიროა უვიზო მიმოსვლა ისრაელთან, თუკი ქართველს დამცირებისა და უკან ძაღლივით გამობუნძულების პერსპექტივის გარდა არაფერი ელოდება „მეგობარ“ ისრაელში?!

ერთმა ჭკვიანმა ქართველმა თქვა: ქართველები ობოლი ერი ვართო. ობლებს მეგობრებიც არ გვყოლია. რა სიძულვილი დავთესეთ ებრაელებში ასეთი, ზიზღით და არაადამიანურად რომ ექცევიან იქ ჩვენს თანამემამულეებს?

როგორც საქართველოდან წასული, აქ ნაცხოვრები, ძველი ებრაელების სისხლით ნათესავები ამბობენ: ისრაელში ქართველებს გვეძახიან, არ ვუყვარვართ ჩვენს სისხლსა და ხორცს — ებრაელ ხალხსო, ანუ საქართველოში ნაცხოვრები ებრაელებიც კი ეჯავრებათ იქ, დიდ ისრაელში, ქრისტეს გამოცხადების ადგილას...

საქართველო დღემდე ამაყობს, რომ ერთადერთი ქვეყანა ვართ მსოფლიოში, სადაც ებრაელები არ უდევნიათ, 26-საუკუნოვანი მეგობრობაც გვაკავშირებს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ებრაული სოფლებიც არსებობს, საქართველოში თავშეფარებულ ებრაელებს კი მსოფლიოში უპრეცედენტო სახელს ქართველ ებრაელებს ეძახიან.

ებრაელთა წმინდა წიგნი „ბიბლია“ ამბობს: „აღმოხდების მზე და წარხდების მზე და უბრუნდება თავის წრეს“. ყველა დაღმართს აღმართი მოსდევსო, ნათქვამია, ებრაელ ერს ღმერთმა ნუ გაუჭირვოს, თორემ თბილ კერას საქართველოში, აწი, რა სინდისით მოითხოვენ, ამის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ბუბა ხოტივარი:

მაშინ, მეოცე საუკუნეში...

მხ. ფილმის „სერენადა“ გადაღებისას

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

მე ვგიკელ რეჟისორებზე ვყვები, იმიტომ რომ ერთად მოვედით ტელეფილმებში, მაგრამ არ მინდა მკითხველს ჩემგან დარჩეს შთაბეჭდილება, - ჩვენ ვართ რაცა ვართო. ტელეფილმებში იმ დროს უკვე იყვნენ რეჟისორები, რომლებმაც ისეთი ფილმები შექმნეს, ბევრ ვგიკელსაც კი დაგვიდგებოდა თვალი:

კარლო ღლონტი. მეტად კულტურული, განათლებული, მაღალი პროფესიული დონის რეჟისორი, აგრეთვე შესანიშნავი მსახიობი. საგმირო გარეგნობის კაცს შეეძლო სახასიათო როლების შესრულებაც. ეს ხომ იშვიათობაა. ტელეფილმების ერთ-ერთი დამაარსებელი. გადაიღო პირველი სრულმეტრაჟიანი ქართული ტელეფილმი „მყუდრო სავანე“ და დაამტკიცა, რომ სტუდიას შეეძლო დიდი ფილმის გადაღება ურთულეს პირობებშიც კი. ამის გამო ჩემმა ძმამ გლადიატორი შეარქვა. დიდი ბუნების, კაცური თვისებების ადამიანი. ძალიან გავს თავის „პეტრიწონს“, ქართლოსი ეუბნებოდა, შენ და ზოზო ბაქრაძე თქვენი წონა ოქრო ხართო...

გურამ პატარაია. ვინ არ იცის მისი „რეკორდი“, ან თუნდაც „შორია გურჯისტანამდე“? - მთელი ეპოქა ჩვენი თვითშეგნების განვითარებაში. ფერეიდნელები, 400-წლიანი ჩვენი მოუშუშებელი ტკივილი. მისი და ირაკლი ონოფრიშვილის ეს ოსტატური ნამუშევარი ბომბივით გასკდა იმ დროს. ფილმმა საზოგადოებაში სერიოზული რეზონანსი გამოიწვია და აიძულა მთავრობა მიეხედა ამ პრობლემისათვის. სხვა საკითხია, როგორ მიხედა იმდროინდელმა მთავრობამ ამ საქმეს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ ფილმმა ჩვენს თითქოს მიძინებულ თვითშეგნებაში პატრიოტული (თურმე მიუძინებელი) სურვილები ამოატივტივა.

ალეკო ნინუა. „ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა“ ყველამ ნახა და ყველას მოსწონს. ქალვაჟის საკუთარი ოჯახის მიმართ ერთგულების ჩვენება ასე სუფთად, ძალდაუტანებლად, უპრეტენზიოდ, მსახიობების (მარიკა გიორგობიანი, გეგა კობახიძე, ლეო ფილფანი, გივი ჩუგუაშვილი, გივი ხახიძე) კარგი თამაში. ყველაფერი ეს გულშიც დარჩა და მეხსიერებაშიც. თვით ალეკოც კარგი მსახიობია, ჩემის აზრით, გამოუყენებელი სრულიად. „ლაზარეში“ ითამაშა პატარა ეპიზოდი დუქანში, მაგრამ, ნამდვილად ვიცი, დიდი და სერიოზული როლის აწევაც შეუძლია.

გივი ვეფხვაძე. კიდევ ერთი უპრეტენზიო, თავის საქმის კარგად მცოდნე რეჟისორი. არავის რომ არ აწუხებს, ნახეთ რა ვარ, ტაში დამიკარითო. კაცი, რომელსაც ყველაფერში ენდობი. ბევრი კარგი ფილმისა (მაგალითად, „ბავშვები“) და მეტად საჭირო, ზნეობრივი გადაცემებისა და წიგნის ავტორი. მისი ღრმად ანალიტიკური, სხვანაირად რომ ვთქვათ - გულის გასახეთქი, „9 მარტი“ ყველა ქართველს უნდა ანახო თაობიდან თაობამდე, - რომ არ დაავიწყდეთ, არ მოდუნდნენ, არ გადაგვარდნენ.

ზალიკო კაკაბაძე. სტუდიაში ჩვენზე უფრო ადრე მოსული ვგიკელი. განუწყვეტლივ მოწუწუნე ოპტიმისტი (ბუნებაში თვისებების ასეთი ერთიანობა თითქოს არ უნდა არსებობდეს, მაგრამ არსებობს). მაგალითი ტელეფილმების ერთგულებისა: როცა სტუდიას უჭირდა, პირველი ზალიკო იყო მზად დღე და ღამე ემუშავა, ოღონდ საქმე გაკეთებულიყო. მის მაშინდელ შრომას ახლა უფრო ვაფასებ. კინომატიანეს შემოუნახა ბევრი იმდროინდელი ვარსკვლავი. იმ დროს გადაიღო „ორერა, სრული სვლით!“ და „მზიური“ - დღემდე ყველასათვის საყვარელი არტისტების მატიანე. ესმის ყველაფერი, რაც ესტრადასა და ბალეტს ეხება. ზალიკოს ფილმების ანალიზს მუსიკათმცოდნე თუ მოახერხებს.

კადრი ფილმიდან „რეკორდი“

რაჭველთ-რაჭველი ბიძინა რაჭველიშვილი. მის „ხაბაზებს“ ახლაც სიამოვნებით ვუყურებ. მახსენდება როგორი წარმატება ჰქონდა მას განსაკუთრებით უცხოელ მაყურებელთან. პურის გამოცხობის ასეთი არნახული წესი ჯერ შოკში აგდებდა და შემდეგ აღაფრთოვანებდა მაყურებელს, რომელიც პირველივე ეპიზოდის ნახვისას (როცა ხაბაზი თავით ეშვება გავარვარებულ თონეში), ტაშით აჯილდოვებდა ყოველ სცენას. „პური ჩვენი არსობისას“ ასეთი უჩვეულო ხერხით მოპოვება დაუვიწყარ სანახაობად იქცა ფილმში, რომელიც თავისთავადაც კარგად იყო შეკრული.

დიმა ბათიაშვილი. ეს უგანათლებულესი, უკეთილშობილესი კაცი - ღრმა, ფაქიზი ხელწერის რეჟისორი, ავტორი მართლაც რომ შედევრისა. ხომ ნახეთ „არასერიოზული ადამიანი“? იყავით გულწრფელნი და გამოტყდით, რამდენჯერ მოგერიათ ცრემლი ფილმის ყურებისას? რამდენჯერ ამოიოხრეთ და რამდენჯერ გაიღიმეთ? ისეთი ღიმილით, კეთილს და სევდიანს რომ ვარქმევთ მაშინ, როდესაც ჩვენს თვალწინ იშლება გამაოგნებელი გულწრფელობა ცხოვრებადანგრეული კაცისა. კაცისა, რომელიც არც კი ცდილობს თავისი ცხოვრების აწყობას. ეს მას არ ჭირდება, იმიტომ, რომ მთლიანადაა ჩაფლული სიყვარულში. ოღონდ, ამის თითქოს ეუხერხულებაო, პირდაპირ ვერ გიტყდება და ყოველნაირად ცდილობს დაფაროს ეს სიყვარული სხვადასხვა ხერხებით: ირონიით, არასერიოზულობით, თავისებური ქვეტექსტებით, ბრაზითაც - როგორც თავისი ბედუკულმართობის, ასევე სხვების მიმართ. გაიხსენეთ გია ფერაძის იშვიათი სამსახიობო ოსტატობითა და სიღრმით შექმნილი ნატანჯი სახე... ცოტა მინახავს ფილმი, სადაც მიგრძვნია ავტორის ასეთი მძაფრი სიყვარული ყველას მიმართ. ყოველი ჩვენგანის მიმართ. ამიტომ მადლიერი ვარ დიმა ბათიაშვილის. ამ ფილმის ნახვის შემდეგ ცხოვრებას ცოტა არ იყოს სხვა თვალით უყურებ კაცი - ფილმი გახსენებს, რომ არსებობს რაღაცა, რაც ამქვეყნიურზე მაღლა დგას... შეხედეთ ფილმის ვითომ დაულაგებელ მონტაჟს. ანალიზისას მიხვდებით რომ ეს გამიზნულად არის გაკეთებული - გმირის აწეწილი ცხოვრების, მისი ყოფიერების ფრაგმენტულობის ხაზგასასმელად. ამის გაკეთებას დიდი პროფესიული გამბედაობა ჭირდება... გაიხსენეთ მისი ფილმი-პორტრეტი „სერგო ზაქარიაძე“. არასოდეს მინახავს სხვა ადამიანზე შექმნილი ასეთი პირადული პორტრეტი: სად მთავრდება სერგო, სად იწყება დიმა ან ის ავტორი, სერგო რომ კითხულობს - ძნელი გასარჩევია და, იქნებ, არც არის საჭირო, იმდენად ერთნი არიან სულიერი არსებანი, თუ მართლა სულიერი არსებანი არიან.

კადრი ფილმიდან „მზიური“

თენგიზ ნოზაძე. დოკუმენტური ფილმების მატიანე. ფილმებზე ბავშვური გატაცებით მუშაობდა. მისი თუნდაც „კლდის ვეფხვი“ დიდ მიხეილ ხერგიანზე სიამაყით აღიქმება... თენგიზის ფილმებსაც თან სდევს რაღაც აუხსნელი ტკივილი, რაც მათ ხელოვნების ნაწარმოებად აქცევს... სულ ახლახან, ძმათა სისხლისღვრის, ერთმანეთის სიძულვილის, გაუტანლობის დროს შევხვდი. ისე განიცდიდა ყველაფერს, ისეთი ტრაგედია იკითხებოდა მის თვალებში - გამხნევება მომინდა. გავახსენე ძველი დრო, თენგიზს ცოცხალ ენციკლოპედიას რომ ეძახდნენ. იმ წამსვე გამაწყვეტინა: ენციკლოპედია ნახევრად ცოცხალიაო!.. მაგრამ იქვე ეუხერხულა თავისი პესიმიზმის და მოულოდნელად ისეთი სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე ამბების მოყოლა დაიწყო, იმდენი გვაცინა მხიარული და იმედიანი ისტორიებით, ისე ძალდაუტანებლად დაგვიმტკიცა, რომ არეულობა დროებითია, რომ მალე ყველაფერი რიგზე იქნება, რომ უბედურების შეგრძნება არის მხოლოდ ილუზია და რომ ის, უბედურება, არ არსებობს საერთოდ (!), ისე გაგვამხნევა ყველა იქ მყოფი, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ჩემთვის: ადამიანში რაღაც დიდი, რაღაც ამოუხსნელი და კეთილი საიდუმლო დევს. ადამიანს ვერაფერი წააქცევს...

ლევან თაქთაქიშვილი. ინტელიგენტის განსახიერება. წესიერების ფორმულა. სულ წუხს, რომ ძალიან გაწუხებს. შეხვდები თუ არა, კარგ ხასიათზე დგები. იცი, რომ გაგიგებს ყველაფერში და კეთილ ენერგიას გადმოგცემს. კლასიკურ მუსიკას (განსაკუთრებით გერმანულს) მასავით ვერავინ გრძნობს. პირდაპირ გულში უშვებს და იქვე იტოვებს სამუდამოდ. ძალიან კარგი მუსიკალური და შემეცნებითი ფილმის ავტორი („სოლიკო ვირსალაძე“, „მომღერალი თიხა“, სხვა). ლევანიც ორი წვეთი წყალივით გავს თავის ფილმებს. ადრე თურმე კარგი ფიზიკოსი ყოფილა. ქართლოსმა კითხა ერთხელ: რა გინდოდა, რას ეძებდი, რად მიატოვე შენი საქმე, ასეთი დაფასებული იყავი, სამჯერ დიდი ხელფასი გქონდა, რას მორბოდი ამ მშიერ ხელოვნებაში, რა ძალა გადგაო. მე თვითონ მიკვირსო, უპასუხია გულწრფელად, ათი წელი ვწვალობდი, ღამე ვერ ვიძინებდი, სანამ უეცრად არ გამინათდა. მივხვდი, რომ იქ გენერლობას აქ ჯარისკაცობა მირჩევნია, იქ თავადობას აქ კარისკაცობაო...

რეზო ხუნწარია. ფუნდამენტური ცნობიერება და, როგორც მამაჩემი ამბობდა, კოლხური პატიოსნება. ასეთია თვით რეზოც და მისი „შალვა ნუცუბიძე“, „ივანე ჯავახიშვილი“, „ხიხანის ნათელი“, „ხევსურეთი“... რეზო ხუნწარიაზე ობიექტურად წერა მიჭირს: ერთხელ, ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მძიმე მომენტში, ისე მოულოდნელად დამეხმარა, ზღაპრებში რომ ხდება მხოლოდ. არავინ რომ არ რჯიდა, დამიდგა გვერდით,Fფეხზე დამაყენა და შემდეგ ისევ გვერდზე გადგა, ჩუმად, თითქოს არაფერი მოემოქმედოს. გული მითბება, რომ მახსენდება და ამის მერე ვცდილობ ცოტა უკეთესი მაინც ვიყო, ვიდრე მანამდე ვიყავი. ღმერთი გფარავდეს შენ, ჩემო რეზო!.. ვალში ვარ შენს წინაშე...

(გაგრძელება იქნება)

გივი ჯავახიშვილი:

სხვა ქვეყნებიდან უნდა ზიდო არა პროდუქცია, არამედ იდეები

საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა შედეგია მისი უმართაობისა, - ასე თვლის ჩვენი რედაქციის დღევანდელი სტუმარი, სისტემური კვლევების და ენერგო-ინფორმაციულ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი გივი ჯავახიშვილი.

- ბატონო გივი, თქვენ ამტკიცებთ, რომ ჩვენი ქვეყნის მართვის სტრუქტურები არასწორად არის შერწყმული. რა არის საჭირო მართვის ქმედითი სისტემის შესაქმნელად?

- ჯერ უნდა შეიქმნას მიზანი. მერე მიზნის ფუნქცია, რომლის შესაქმნელად საჭიროა, შეირჩეს მიზანთა სისტემა - ე.წ. მიზანთა ხე; მიზანთა სისტემის შესარჩევად კი აუცილებელია ეროვნული იდეოლოგია, რომელზეც ილია ჭავჭავაძის შემდეგ არავის უფიქრია. ეროვნული იდეოლოგია ილიამ შეიმუშავა სამი ქვესისტემიდან - **ენა, მამული, სარწმუნოება,** რომლის დანიშნულება იყო ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, რაც მან ბრწყინვალედ შეასრულა! ახლა საჭიროა ქვეყნის სახელმწიფოებრივი განვითარება, რისთვისაც, ასევე, საჭიროა ეროვნული იდეოლოგია, რომელიც, ცვალებადია და, დროთა განმავლობაში, ერისა და ქვეყნის განვითარებასთან ერთად უნდა იცვლებოდეს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქვეყნის მართვის სრულფასოვანი სტრუქტურების შესაქმნელად საჭიროა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ძალისხმევა, რასაც დემოკრატიული მმართველობა არც კი ითვალისწინებს.

- როგორ თუ არ ითვალისწინებს?

- დღეს ამგვარი ვითარებაა - გვყავს მინისტრები და არა გვაქვს სამინისტროები; გვაქვს სამინისტროები და არა გვაქვს დარგები; გვაქვს დარგები და არა გვაქვს დარგებისთვის განსაზღვრული ფუნქციები!

ასევე, არასწორად არის შერჩეული ქვეყნის, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის წარმოებისათვის მიზნები და შედეგების შესაფასებელი კრიტერიუმები.

- მაგალითად?

- მაგალითად ლოზუნგი: „ავაღორძინოთ ეკონომიკა თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების პირობებში“.

- რაში ადანაშაულებთ ამ ლოზუნგის ავტორს ან ავტორებს?

- მისი ავტორები ყოველგვარ კომპეტენციას არიან მოკლებულნი! ეკონომიკური კრიზისის პირობებში შეუძლებელია ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა თავისუფალი საბაზრო ურთიერთობებით. ჯერ ეს ერთი, ამ გამონათქვამის ავტორებს არა აქვთ სრულად გაცნობიერებული, რომ ეკონომიკა პირველ რიგში წარმოებითი ურთიერთობებია და ეკონომისტების გამონათქვამს - „მომსახურებაც პროდუქციაა“ აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც წარმოება სჭარბობს მომსახურებას; მეორეც, საზოგადოების მყიდველობითი უნარიანობა უნდა იყოს ორჯერ მეტი საარსებო მინიმუმზე, რაც განაპირობებს წარმოების სტაბილიზაციას კი არა საზოგადოების მოთხოვნილების შესაბამისად, არამედ მის სრულ გაკოტრებას საზოგადოების მყიდველობითი უნარიანობის დაქვეითების შემთხვევაში. ამის გააზრებამ მიიყვანა აშშ-ს პრეზიდენტი - **ფრანკლინ რუზველტი** „დიდი დეპრესიის“ დროს იმ გადაწყვეტილებამდე, რომ მოუხმო საკონსულტაციოდ არა ბაზრის განტოლების ავტორს - **მილტონ ფრიდმენს,** რომელიც დაუშვებლად მიიჩნევდა სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკაში, არამედ **ჯონ ქეინსს,** რომლის განტოლება ითვალისწინებს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას, სახელმწიფო ინვესტიციებს, ბაზარზე სახელმწიფო კონტროლს და ექსპორტის უპირატესობას იმპორტზე.

- ბატონო გივი, გთხოვთ გამოთქვათ თქვენი აზრი დღეს ეგზომ პოპულარულ ლოზუნგზე - „ქვეყნის ეკონომიკის ასაღორძინებლად განვავითაროთ ტურიზმი და ტრანსკონტინენტალური მაგისტრალები!“.

- მის ავტორებსაც ძალზე აკლიათ კომპეტენტურობა. სად გაგონილა, რომ მასპინძელს აპურებდეს სტუმარი?!.. შვეიცარიის წლიური ერთობლივი პროდუქტი შეადგენს 564 მილიარდ შვეიცარულ ფრანკს და, აქედან, ტურიზმზე მოდის მხოლოდ და მხოლოდ 3,5 მილიარდი. ეს მაშინ, როცა ტურისტების ხვედრითი რაოდენობით შვეიცარია ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში! რაც შეეხება ტრანსკონტინენტალურ მაგისტრალებს, პიდაპირ გასაოცარია, რა აღაფრთოვანებს პოლიტიკოსებს და ე.წ. ექსპერტებს, როცა თბილისში ჩინეთიდან შემოდის მატარებელი?! რა ახარებს ამ ბატონებს და ქალბატონებს? ნუთუ, ძნელი მისახვედრია, რომ, ერთის მხრივ, ქვეყნისა და ერის განვითარებისათვის ცივილიზაციის თანამედროვე ეტაპზე სხვა ქვეყნებიდან უნდა ზიდო არა პროდუქცია, არამედ იდეები და პროექტები!

- რა არის აქ ცუდი? რაში ხედავთ საქართველოსთვის ხიფათს?

- მე მივმართავ მათ: ჩინეთიდან მატარებლის ჩამოსვლა რომ გიხარიათ, როგორ ვერ უნდა აცნობიერებდეთ იმ ჭეშმარიტებას, რომ მაგ მატარებელს „მგზავრები“ მოჰყვებიან.

ჩვენი სუბინტელიგენციის ჭარბ უმრავლესობას და, მათთან ერთად, ხელისუფლებასაც ისიც კი ვერ გაუაზრებიათ, რომ, თუ რუსეთის ინტერესი ჩვენი მიწაწყლის მიმართ ძირითადად შემოიფარგლებოდა საიმპერატორო ოჯახისათვის სამკურნალოდასასვენებელი აგარაკებით ლიკანში, ბახმაროში და ბათუმში, რადგან რუსეთს თავზე საყრელი აქვს ყოველგვარი ბუნებრივი რესურსი, ჩინელებისთვის ყოველ სავარგულს საცხოვრისის მოწყობის დანიშნულება აქვს!

ჩვენო პატივცემულო ხელისუფლებავ, გადაავლეთ თვალი საქართველოს გუშინდელ ისტორიას და აუცილებლად დაინახავთ, რომ ჩვენი სამშობლოს ცალკეული რეგიონების პოლიტიკურ-დემოგრაფიული უბედურებები დაიწყო **ქვემო ქართლში** შაჰ აბას პირველის მიერ ასი თურქმანული ოჯახის ჩამოსახლებით დებედას ხეობაში; **სამაჩაბლოში** - მაჩაბლის მიერ ოთხი ოსი მეჯოგის და მათი ოჯახების ჩამოსახლებით ჯავაში; **აფხაზეთში** - შერვაშიძის მიერ ყაბარდოელების ჩამოსახლებით ლიხნში და **მესხეთ-ჯავახეთში** - პასკევიჩის მიერ მიწების მიყიდვით ყარს-არდაგანიდან ლტოლვილი სომხებისათვის... ნუთუ, არ დადგა დრო, რომ ვისწალოთ ისტორიული მოვლენების იდენტიფიცირება?!

- ძალზე საინტერესოა თქვენთან საუბარი და ვიმედოვნებ, კიდევ ბევრ საჭირბოროტო თემებს განვიხილავთ. ახლა კი, კიდევ ერთ გავრცელებულ ლოზუნგს - „ხელი შევუწყოთ ბიზნესმენებს, რომ მათ შექმნან სამუშაო ადგილები“ , რა კომენტარს გაუკეთებთ?

- ამ ლოზუნგს ყველა ხელისუფლებისგან ვისმენ და არა მარტო მათგან. დავიწყებ იმით, რომ არასწორად არის ფორმულირებული საწარმოო-ეკონომიკური პროცესის შესაფასებელი კრიტერიუმი -„სამუშაო ადგილების შექმნა“. მაგალითად, **გიგი უგულავამ** შექმნა უამრავი სამუშაო ადგილი: თბილისში დამატებით დააარსა ორი რაიონი თავიანთი გამგეობებით, საკრებულოებით და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურებით; უგულავამ დააასქმა ათასობით კოორდინატორი არჩევნების გასაყალბებლად, შექმნა ძალზე მრავალრიცხოვანი დამკვირვებელთა საბჭო. გიგი უგულავას ამ „წარმატებული ქმედებებით“ თბილისის საწარმოო-ეკონომიკური მდგომარეობა თუ არ გაუარესდა, არაფრით გაუმჯობესებულა! კიდევ, რას ნიშნავს „ მთავრობის მხრიდან ბიზნესმენების ხელშეწყობა“? ხელისუფლებას და ბიზნესმენს ხომ რადიკალურად ურთიერთ საწინააღმდეგო მიზნები უნდა ამოძრავებდეთ: ბიზნესმენისათვის, საკუთარი პიროვნული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, ძირითადი მიზანია ფულის შოვნა-დაგროვება და მისი ქმედებები, საკუთარი ოჯახის ფულად-სასაქონლო მექანიზმიდან გამომდინარე, ეფუძნება ძირითად კანონს - „ფული - საქონელი - ფული“. ხელისუფლების ქმედებები კი უნდა განისაზღვრებოდეს საზოგადოების (ხალხის) საყოფაცხოვრებო-სასიცოცხლო მოთხოვნილებებიდან გამომდინარე და მათი უზრუნველყოფისათვის, ფულად-სასაქონლო მექანიზმის შესამუშავებლად. ხალხმა ხელისუფლება აირჩია, გნებავთ, დაიქირავა არა იმისათვის, რომ მან ბიზნესმენს შეუწყოს ხელი, არამედ იმისათვის, რომ მოუაროს ანუ სწორად განკარგოს საერთო-სახალხო (სახელმწიფო) ქონება; მოახდინოს საზოგადოების (ხალხის) ორგანიზება აღნიშნული ქონების ნაწილის გარდასახვისათვის საყოფაცხოვრებო-სასიცოცხლო პირობების უზრუნველმყოფ პროდუქციად!!! ამის მაგივრად, ყველა ჩვენი ხელისუფლება, ეხმარებოდა და ეხმარება ბანკებს. მაგალითად, „ლიბერტი ბანკი“ აძლევს ადამიანს (კლიენტს) სესხს და ახდევინებს სარგებელს - სესხის 65 პროცენტს თვრამეტ თვეში!!!... აშშ-ს პრეზიდენტმა - ფრანკლინ რუზველტმა კი „დიდი დეპრესიის“ დროს ბანკებს წლიური სარგებლის ზედა ზღვრად დაუწესა მხოლოდ სამი პროცენტი. კარგი იქნება, თუ საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება რუზველტივით ლაგამს ამოსდებს გათავხედებულ ბანკებს!

გიორგი კორძაძე
571 77 61 95

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

სახარების მიხედვით, ჯვარზე გაკრულმა იესომ მისი სულის ამაღლებამდე უკანასკნელი სიტყვები მშობლიურ, გალილეურ ენაზე წარმოთქვა. ეს სიტყვები არ იხსნება არც ივრითზე, არც არამეულზე და არც ძველ სემიტურ ენებზე, არც ძველი ბერძნულით. მისი ახსნა ძველ ხურიტულ (ხურიტულ-სუბარული, იგივე იბერიულ-კავკასიური) ენებში უნდა ვეძებოთ. „ელოი, ელოი, ლამა საბაქთანი?“ რაც თარგმანით ნიშნავს: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე მე? ზოგიერთმა იქ მდგომმა გაიგონა ეს და თქვა: აჰა, ელიას უხმობსო.“ იქ მყოფმა იუდეის ებრაელებმა, ვერც ერთმა ვერაფერი გაიგეს იესოს ნათქვამიდან რადგან ეს არ იყო ებრაული დიალექტი, არამედ, გალილეური დამოუკიდებელი ენა იყო.

იესოს ჯვარცმას მოციქულებიდან მხოლოდ იოანე მოციქული ესწრებოდა, დანარჩენები ფრთხილობდნენ, რათა იუდეველებს არ ამოეცნოთ ისინი. სწორედ იოანე იყო ის მოციქული, რომელსაც არასოდეს შემცირებია იესოსადმი რწმენა. ოთხი სახარებიდან მხოლოდ მის სახარებაშია გადმოცემული ქრისტეს მეგობარ, გალილეველი ლაზარეს მკვდრეთით აღდგომის მისტერია. რაღაც წყაროთი სარგებლობდა ბერი იოანე ზოსიმე როცა აცხადებდა, ქართულ ენასა სახარებასა შინა ლაზარე ჰქვიაო. მისი აზრით, სწორედ იოანეს სახარებაში გალილეველი ლაზარეს ამბავი არის ქართული ენის და ქართველი ერის სიმბოლო.

რატომ არ მოიხსენია იოანემ აპოკალიფსში დანის ტომი? იქნებ, გალილეველმა იოანემ სწორედ იმიტომაც არ შეიტანა თავის აპოკალიფსში გადარჩენილ (რომლებიც, იოანეს მიხედვით იქნებიან ცათა სასუფეველში, რა თქმა უნდა, სხვა ხალხთან ერთად, ოღონდ როგორც მღვდლები ქრისტესი) ებრაელთა თორმეტ ტომში დანის ტომი, იცოდა რა მათი არაებრაული წარმოშობის შესახებ და ამით მან არ დაარღვია ებრაული ტომების ბიბლიური შემდგომდროინდელი სიმბოლური ერთობა აპოკალიფსში. იოანემ თავის „აპოკალიფსში“ ებრაული თორმეტი ტომის ჩამონათვალში დანის ტომის ნაცვლად შეიყვანა იოსების ერთ-ერთი ძე, მენაშეE (რატომღაც მენაშე და არა მეორე ძე — ეფრემი), ხოლო თავად იოსები ამ სიაში კვლავ მოიხსენია. (1994 წელი)“

ჯერ კიდევ როდიდანაა გაყალბებული ისტორია...

პრესაში გადავაწყდი — „რა ისტორიები იმალება დავით აღმაშენებლის საიდუმლო სახელის „მეფე — ხუცესი იოანეს“ მიღმა? წერილი იწყება ინფორმაციით, რომ ზვიად გამსახურდიამ „საქართველოს სულიერ მისსიაში“ შუა საუკუნეების გერმანელი მწერლის ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალზე“ დაყრდნობით სენსაციური რამ განაცხადა — დავით აღმაშენებელს იმდროინდელ ევროპასა და ტამპლიერთა ორდენის წრეებში იოანე მეფე-ხუცესის საიდუმლო სახელით იცნობდნენ; რომ მსგავსი ცნობები აქა-იქ თანამედროვე უცხოელ ავტორებთანაც ჩანს, მაგრამ ამ მიმართულებით არაფერია გამოკვლეული, რაც გასაკვირია, რადგან ისტორიულ წყაროებში იოანე ხუცესთან დაკავშირებით არა ერთი პირდაპირი მინიშნება და განმარტება გვხვდება.

ერთ-ერთ ინფორმაციად მოყვანილია იოანე ხუცესის მიერ მიწერილი წერილი ბიზანტიის იმპერატორ მანუელ კომნენოსისადმი (1165 წლით დათარიღებული). ამ პერიოდისთვის საქართველოს მეფე არის გიორგი III. მისი უმცროსი ქალიშვილი, რუსუდანი, თამარ მეფის და, ხსენებულ უფლისწულზეა გათხოვილი. წერილში იოანე ხუცესი (თითქოს, ბრიყვულად ჩანს შეკითხვა, მაგრამ მაინც ვიკითხოთ, ვინ წერს ამ წერილს?) ბიზანტიის იმპერატორს სხვა ინფორმაციებთან ერთად ატყობინებს რომ მის ქვეყანაში ცხოვრობენ მისდამი დამორჩილებული ხალხები, რომლებიც ადამიანის ხორცს ჭამენ და სრულებით არ აქვთ სიკვდილის შიში; რომ, როდესაც რომელიმე მათგანი მოკვდება, მის სხეულს მისი მეგობრები და ნათესავები ხარბად შეექცევიან, რადგან ადამიანის ხორცის ჭამა თავიანთ უმაღლეს მოვალეობად მიაჩნიათ; რომ მსგავს დახასიათებას ვხვდებით „ქართლის ცხოვრებაშიც“ ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში ლაშქრობის აღწერისას. ჩამოთვლილია ამ ხალხების სახელები და იქვე ნათქვამია, რომ ეს ხალხები მაღალი მთების გადაღმა გამოუმწყვდევია ალექსანდრე დიდს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში იოანე ხუცესი თავისი მტრების წინააღმდეგ საომრად მოუხმობს ხოლმე და მათ წინ ვერაფერი აღუდგებათ. როდესაც მტერს უკლებლივ გადასანსლავენ, მეფის მოწოდებისთანავე კვლავ მაღალ მთებს უბრუნდებიან.

იქვე ყოფილა დამწყვდეული ებრაელთა 10 დაკარგული ტომი, რომლებიც ალექსანდრე დიდს გამოუკეტია კასპიის მთების გადაღმა რათა მსოფლიო აღსასრული არ გამოეწვიათ.

როგორც ჩანს, კაციჭამია ტომების არსებობამ დააინტერესა „ვიღაცები“... ყოველ შემთხვევაში 1250 წელს დასრულებულ „ისტორიულ ანარეკლში“, რომლის ავტორი დომენიკელთა ორდენის ბერი ვინსენტ ბოვეელია, უარჰყოფს მსგავს ინფორმაციას ტრიფელისში (ტიფლისი) არსებული დომენიკელთა მონასტრის ბერების მონათხრობებზე დაყრდნობით. ქალაქის ცხოვრებაში მონაწილე გავლენიანი ბერების შესახებ კვლავ „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, რომ XI საუკუნის მიწურულიდან თბილისს მართავდნენ „ტფილელი ბერები“, მაგრამ მათი ვინაობის შესახებ სხვა არაფერია ცნობილი.

ქრონოლოგიურად, დომენიკელთა ორდენი „ტფილელი ბერების“ მმართველობიდან ერთი საუკუნის შემდეგ დაარსდა. თუ ასეთი გავლენიანი და მნიშვნელოვანი პირები იყვნენ „ტფილელი ბერები“, მაშ, რის არევაზეა საუბარი, ან რატომაა არეული; სულაც, ვინ — ვინ არის? შემდეგ უკვე ვერსიებია...

როგორც ვხედავთ, ისეა არეულ-დარეული ერთმანეთში ჭეშმარიტება, სიცრუე, ლეგენდები და გაყალბებები, ურთულესია საწყისთან მივიდნენ მეცნიერები, მითუმეტეს, რომ ამას თან ერთვის დაშიფრული ტექსტები თუ ასო-ნიშნები...

რისამე გაყალბება კონკრეტული მიზნით ხდება, მაგრამ როდესაც მსოფლიო მასშტაბის გაყალბებასთან გვაქვს საქმე, სწორედ რომ იმავე მსოფლიოს ენებს, მითუმეტეს, თუ გამყალბებელი მაქსიმალურად ცდილობს მოსპოს ჭეშმარიტების კვალი — ანგრევს, წვავს, სპობს დოკუმეტურ მასალას, „საუკეთესო შემთხვევაში“ — სათავისოდ ახდენს ფაქტების დამახინჯებას, თხზავს, იგონებს...

სიტყვამ მოიტანა და მივდიოთ — ვის ინტერესშია 25 დეკემბრის (7 იანვრის) შობის საკრალური თარიღის უმტკივნეულო ფორმით გაბიაბურება? ან სულაც, ვინ თქვა, რომ კონკრეტულად 25 დეკემბერს იშვა ქრისტე?

წინა საუბრებში მამა ავთანდილმა აგვიხსნა მელქისედეკიანობის შესახებ, ანუ ქრისტეს შობამდელ დროზეა საუბარი. ის, რაც მამა ავთანდილის ნათქვამშია, არ იცის ძალიან ბევრმა ადამიანმა და არც აინტერესებს, ან, თუ გარკვეული კუთხით დაინტერესდა, არსის სიღრმისკენ ვეღარ მიდის, იმ „სწავლებებშია“ დატყვევებული, რაც შავით თეთრზე ჩაუბეჭდეს გონებაში, უპირველესად, ბერძნული და რომაული მითოლოგიის სახით; უფრო ხშირად კი, უცოდინარობიდან გამომდინარე, აგრესია მოდის — ვერაფრით დაითანხმებ „ფანატიკოს მორწმუნეს“, რომ სამყარო იესო ქრისტეს შობამდეც არსებობდა.

„მითოლოგიურ არგუმენტებს“ უკვე კარგა ხანია აღარ მიმართავენ ავტორიტეტულ წრეებში, რადგან მრავალ მაგალითზე აღმოჩნდა, რომ „რაღაც მთლად ისე არ არის“. სწორედ რომ, „რაღაც“ სიმართლე არის, მაგრამ დამახინჯებულად, სახეცვლილებით — არეული დროში, ადგილზე, ერთმანეთში... ფაქტი არ არსებობს, მტკიცებულებად კი რაღაცას გვაზეპირებინებენ „ვიღაცები“ მხატვრული, დოკუმეტური თუ უბრალოდ, მრავლისმომცველი შემეცნებითი ხასიათის ფილმებიდან ან წერილობითი „ნაღვაწიდან“, რაც შემდეგ პირუკუ, ფაქტად მოგვყავს...

მამა ავთანდილის მიერ ახსნილ მელქისედეკიანობას მივყვეთ და ქრისტეს შობასთან მივიდეთ. „სახარებაში“ მითითებული არ არის იესო ქრისტეს დაბადების ზუსტი თარიღი კი არა, წელიწადის დროც კი. საუბარია, მწყემსებზე, რომლებიც ამ დროს ღამეულ ფარას მწყემსავდნენ, ანუ უნდა ვიგულისხმოთ რომ იესოს დაბადება ზაფხულში მოხდა, მაგრამ საიდანღაც გვაქვს ზუსტი თარიღი — 25 დეკემბერი. ეს ის დროა, როცა უკვე არიან როგორც ქრისტეს დაბადების მომლოდინეები (ძირითადად ქალაქის მცხოვრებლები), ისე მათი მოწინააღმდეგეებიც, ეს უკანასკნელნი — უდიდესი უმრავლესობით და დევნიდნენ კიდეც ქრისტიანებს. ქრისტიანობა, ქრისტეს მიმდევრობა ქადაგებით, ანუ იდეოლოგიით უნდა გაზრდილ-გავრცელებულიყო და ისეთნაირად, რომ ამ ახალი რწმენის (ფაქტობრივად ძველის, ახალი ფორმით, განსხეულებული ღმერთის ეგიდქვეშ) ხსნის მომტანი ჭეშმარიტება წარმოჩენილიყო.

იმ დროს „მზის დაბადებას“ ზეიმობდნენ და სწორედ ამ დროს დაიწყეს ქრისტეს მიმდევრებმაც (ქრისტიანებმა) იესოს შობის აღნიშვნა, როგორც ნამდვილი, სულიერი მზის დაბადება, სამყაროში სინათლის შემოსვლის აღნიშვნა. დღესაც ვისმენთ საგალობელში: „შობამან შენმან, ქრისტე, ღმერთო ჩვენო, ამოუბრწყინა სოფელს ნათელი გონებისა... გვასწავლა ჩვენ თაყვანისცემა შენი, მზისა ჭეშმარიტებისა...“ ანუ, ქრისტიანობამ „ლამაზად“ მიიღო მთელი ქრისტიანობამდელი კულტურისთვის ჩვეული „მზის თემა“, როგორც სინათლის, სიცოცხლის დასაბამისა და იგი ქრისტეს მიმართ თავისი რწმენის გამოხატულებად აქცია. ამრიგად, ქრისტეს შობის დღესასწაული იმის აღსრულება გახდა რასაც მანამდე ზეიმობდნენ ე.წ „წარმართები“. ყველაფერს, რასაც ადამიანი მზის თაყვანისცემაში გულისხმობდა, რომ ის სამყაროს საზრისის მქონე, სინათლის მატარებელი, გონიერი და ღვთაებრივია, ქრისტიანობამ სახელი დაარქვა — ქრისტე! (სხვათაშორის, ქრისტიანული იდეების „წარმართულთან“ გაიგივებისა, წარმოიშვა მე-18 საუკუნეში ვოლნიეს მიერ)

მზის რელიგიის მთავარი დღესასწაული ე.წ ზამთრის ბუნიობის, მზებუდობის, ანუ დეკემბრის ბოლო დღეები იყო, როცა დედამიწასთან ყველაზე დიდი მანძილით დაშორების შემდეგ, მზე კვლავ იწყებს მოახლოებას და შესაბამისად, იმატებს სითბო და სინათლე, ჩნდება ახალი სიცოცხლე... და დაიწყო ახალი რელიგიური ეპოქის დასაწყისი თარიღით 25 დეკემბერი. მზის თაყვანისცემა იყო ქრისტიანობის მთავარი მოქიშპე...

რაც შეეხება „აღდგომის იდეას“, ის მომდინარეობს არა რომელიმე მითოლოგიიდან, არამედ კიბელეს ხუთდღიანი რიტუალიდან, რომელიც 22 მარტიდან 27 მარტამდეა.

„რეა-კიბელე — ნაყოფიერების ფრიგიული ქალღმერთი, რომლის კულტი მცირე აზიიდან საბერძნეთში გადავიდა“ — ასეა განმარტებული და არსად არავინ ახსენებს, რომ რეა-კიბელე ეს არის კოლხური დედა-ღვთაება, ნანა. ფრიგია კოლხმესხთა ქვეყანა იყო. დედა-ღვთაება, ნანა, იგივე რეა-კიბელე, ფრიგიული ღვთაებაა. მხატვრები, ზოგჯერ, მედეასაც ფრიგიული ქუდით ხატავდნენ. ფრიგია ძველი კოლხეთის ერთ-ერთი კუთხე იყო. ერთი ცივილიზაცია ჰქონდა დღევანდელ სამეგრელოს, გურიას, ლაზეთს, მთელ თურქეთის ტერიტორიას, ჩრდილოეთ ეგვიპტეს, კრეტის ხალხებს (ბერძნებს)... ისიც დამტკიცებულია, რომ მეფე აიეტს თესალიის (დღეს საბერძნეთის) ტერიტორიაზე ჰქონდა სამეფო და შემდეგ გადმოიტანა კოლხეთში...

(გაგრძელება იქნება)

სანამ ნახევარი საქართველო არ გადამწვარა, ვერ უნდა მივხვდეთ, რომ ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები უნდა გავამკაცროთ?

გვესაუბრება საქართველოს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სპეციალობის მასწავლებელთა ასოციაციის დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პოლკოვნიკი სერგო ლაითაძე.

— ბატონო სერგო, საუბადი დავიწყოთ ორი კვირის წინ თბილისის ცენტრში, „ბავშვთა სამყაროში“ მომხდარი ხანძრით. თქვენ, როგორც დარგის სპეციალისტი, რას იტყვით, რატომ მოხდა ასეთი დიდი ხანძარი?

— ხანძრის გამომწვევ მიზეზებზე გამიჭირდება დაზუსტებით ვისაუბრო, თუმცა ყველასთვის ცნობილია, რომ გამოძიება მიმდინარეობს. ერთსაც გეტყვით, რომ აუცილებელია დაწვრილებით იქნას გამოძიებული ყველა დეტალი: ხანძრის გაჩენის კერა, მიზეზები, რადგან ბევრი კითხვის ნიშანია და პასუხის გაცემა აუცილებელია, რასაც ელოდება საზოგადოების დიდი ნაწილი. ერთს კი გეტყვით, როდესაც ხანძრის გაჩენის რამდენიმე, თუნდაც ორი კერა არსებობს, სპეციალისტებში ეჭვს ბადებს, რომ ხანძარი ხელოვნურად არის გამოწვეული.

— მიუხედავად იმისა, რომ სპეციალობით აქტიურ სასქმიანობას არ ეწევით, იქნებ გაგვიზიაროთ თქვენი გამოცდილი თვალით დანახული — სხვა ობიექტებზე თუ არის დაცული უსაფრთხოების წესები?

— მოგეხსენებათ, რომ ობიექტების უმეტესობა კერძო საკუთრებაშია. აქედან გამომდინარე, მფლობელის, მეპატრონის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, შეუშვებს თუ არა მეხანძრე ოფიცერს ობიექტის შესამოწმებლად. ეს იქნება სავაჭრო თუ რომელიმე საწარმო. აქედან გამომდინარე, ძირითადად მფლობელზეა დამოკიდებული, როგორ დაიცავს სახანძრო უსაფრთხოების ნორმებს. ვიყოთ ობიექტურები და ისიც აღვნიშნოთ, რომ ბევრი მათგანი იცავს სახანძრო უსასფრთხოების ნორმებს. მაგალითად, სავაჭრო ცენტრ „პასაჟში“ პირდაპირ ქუჩაში უდგათ ძლიერი ცეცხლისქრობი, რომლითაც აირის აალებასაც გაუმკლავდებიან. ეს კარგია, მაგრამ სავაჭრო ფართები ერთმანეთისგან ფარდით არის გამიჯნული. ამის გარდა, ვიწრო გასასვლელებია, ადამიანები ერთმანეთს გაჭირვებით უვლიან გვერდს. ესეც გასათვალისწინებელია.

— ბატონო სერგო, ჩვენ ადრეც გვისაუბრია საცხოვრებელი კორპუსების ერთმანეთის მიბჯენით მშენებლობის პრობლემებზე — რა მანძილით უნდა იყოს დაშორებული ერთმანეთისგან კორპუსები, თუ არის ამისი ნორმატივები?

— დიახ, ადრეც გითხარით და ახლაც გიმეორებთ, რომ არსებობს დადგენილი ნორმები, თუ რა მანძილით უნდა იყოს დაშორებული ერთმანეთისგან კორპუსები. არსებულ სახანძრო უსაფრთხოების წესებში კარგად არის განმარტებული, როგორ უნდა აშენდეს ნებისმიერი ობიექტი, რა უნდა გაითვალისწინოს მშენებელმა ორგანიზაციამ, დამკვეთმა. სამწუხაროდ, ბევრი ობიექტი დარღვევებით შენდება. სავარაუდოდ, დარღვევები გაგრძელდება მანამ, ღმერთმა დაგვიფაროს და ვიდრე რაიმე უბედურება არ მოხდება. ერთ კოსპუსში თუ გაჩნდა ხანძარი, მეორეზეც ადვილად გადავა. სახანძრო სამმართველოში ადრე იყო განყოფილება, რომელიც კურირებდა ახალ მშენებლობებს. ნორმების დარღვევის შემთხვევაში, ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე მეხანძრე ხელს არ მოუწერდა, რაც ფართო მსჯელობის საგანი ხდებოდა. ამის გარდა, მეხანძრე მშენებლობის პროცესსაც აკვირდებოდა. ახლა კი ყურადღების გარეშეა დარჩენილი ყველაფერი.

— საცხოვრებელი კორპუსების გარდა უამრავი სასტუმროც შენდება ქვეყანაში. საინტერესოა, როგორ არის დაცული იქ სახანძრო უსაფრთხოების ნორმები?

— თანამედროვე სასტუმროებში აუცილებლად უნდა უყოს გათვალისწინებული სახანძრო უსაფრთხოების ნორმები. ბევრგან არის კიდეც, განსაკუთრებით, რომელსაც სერიოზული ბიზნესმენები აშენებენ. ეს იმით არის განპირობებული, რომ მეპატრონე დაინტერესებულია დანახარჯის ამოღებით და იმითაც, ნახოს მოგება. იმ შემთხვევაში, თუ ვიზიტორი თავს უსაფრთხოდ არ იგრძნობს, არ დაბინავდება სასტუმროში.

— ბატონო სერგო, ცნობილია, რომ არსებობდა პრაქტიკა, მეხანძრე ოფიცრები პროფილაქტიკის მიზნით ამოწმებდნენ ობიექტებს თუ როგორ იყო დაცული უსაფრთხოების ზომები. ახლა თუ არის მსგავსი ღონისძიებები?

— კი, ბატონო, არსებობდა და ახლაც არსებობს, მხოლოდ ისეთ ობიექტებზე, რომლებიც სახელმწიფო მნიშვნელობის არიან. მაგალითად, ოპერა ან სხვა თეატრები. ამოწმებენ კიდეც, მაგრამ სხვა ობიექტებზე, როგორც უკვე გითხარით, რომლებიც კერძო საკუთრებაშია, მფლობელის ნება-სურვილზეა, შეუშვებს თუ არა შესამოწმებლად. მეხანძრეს, უბრალოდ, უფლება არ აქვს, დამოუკიდებლად შეამოწმოს ობიექტი. კორუფციასთან ბრძოლის მიზნით შეუზღუდეს მეხანძრეებს შემოწმების უფლება.

— როდის დაიწყო ასეთი შეზღუდვები?

— როდესაც კერძო საკუთრებაზე გადავედით. განსაკუთრებით დამძიმდა ვითარება ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. სახანძრო კი არა, სანიტარული ზედამხედველობაც კი გააუქმეს. სხვა რაზე შეიძლება ლაპარაკი!

— ამას გარდა, იყო დადგენილი წესი, რომ ყველა შენობაში უნდა ყოფილიყო სახანძრო ონკანი, იგივე გიდრანტი. ახლა?

— ახლა, განსაკუთრებით ახალ შენობებში, იცავენ ამ წესებს, როგორც სასტუმროებში, ასევე თუნდაც საავადმყოფოებში. პირადად მინახავს კიდეც. არსებობს ასევე ევაკუაციის გეგმებიც. ბოლო წლებში დაიწყო უსაფრთხოებაზე ზრუნვა. მთავარი პრობლემა ის გახლავთ, თუ როგორ მიუდგება შენობას ტექნიკა, რადგან მისასვლელი გზები ხშირად ჩახერგილია მანქანებით.

ეს დედაქალაქის მერიის გამოსასწორებელია. მან უნდა გააქტიუროს ხანძარსაწინააღმდეგი პროფილაქტიკა. ვჯობს, უბედურება თავიდან ავიცილოთ, ვიდრე შემდეგ მასთან მოგვიხდეს ბრძოლა.

— ბატონო სერგო, მაინც მინდა დავუბრუნდეთ „ბავშვთა სამყაროში“ მომხდარს. თქვენი გადმოსახედიდან, რამდენად პროფესიონალურად იმუშავეს მახანძრეებმა, სადაც 31 ერთეული ტექნიკა იყო მობილიზებული?

— როგორც დასაწყისში გითხარით, შორიდან ძნელია განსჯა, რადგან ამდენი მანქანა იყო, ალბათ, სჭირდებოდათ. თუმცა, საკითხავია, სახანძრო მატარებელი რატომ არ გამოიყენეს, რომელიც ჰქონდა რკინიგზას ადრეულ წლებში. როგორი იყო წყლით მომარაგება და სხვა საკითხები, რომლებსაც გამოძიებამ უნდა გასცეს პასუხი. ადრე სახანძრო სამმართველოში გვქონდა ლაბორატორია, რომლის თანამშრომლებიც გადიოდნენ ნებისმიერ ხანძარზე და იკვლევდნენ მის გამომწვევ მიზეზებს. ახლა ეს ლაბორატორია აღარ არის. ვინ ჩაატარა მომხდარ ხანძარზე ექსპერტიზა, არ ვიცი.

გია ბურდული
551 71 27 07

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— ჩემს მეგობარს დავა ჰქონდა ბიძასთან სამემკვიდრეო საკითხთან დაკავშირებით. მან უკვე მიიღო უზენაესი სასამართლოდან გადაწყვეტილება საჩივრის წარმოებაი არმიღების შესახებ. შეგვიძლია თუ არა გავასაჩივროთ ეს გადაწყვეტილება ან ახლიდან დავიწყოთ საქმის განხილვა?

— ჩვეს შორის შემდგარი სატელეფონო საუბრიდან გაირკვა, რომ თქვენმა მეგობარმა წაგო სასამართლო პროცესი როგორც პირველი, ისე სააპელაციო ინსტანციაში. ასევე, გაირკვა, რომ უზენაესმა სასამართლომ, ანუ საკასაციო ინსტანციამ არ მიიღო წარმოებაში თქვენი მეგობრის საკასაციო საჩივარი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. საკასაციო ინსტანციის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება. ვერ მოხდება საქმის თავიდან განხილვა. ასეთს არ ითვალისწინებს საქართველოს სამოქალქო საპროცესო კანონმდებლობა. თუ მოგვიანებით გამოვლინდება ახალი გარემოებები, რომელთა ჩამონათვალსაც სრულყოფილად წარმოგიდგენთ ქვემოთ, შესაძლებელი გახდება საქმის თავიდან განხილვა.

მუხლი 421. საქმის წარმოების განახლების სახეები

1. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

2. თუ სასამართლოში შემოსულია განცხადებები როგორც ერთი და იმავე, ასევე ორივე მხარის მიერ ერთდროულად გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, სასამართლომ უნდა შეაჩეროს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების შესახებ განცხადების განხილვა, ვიდრე არ იქნება განხილული განცხადება გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობის შესახებ.

მუხლი 422. განცხადება გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობის შესახებ

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ:

ა) გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში.

ბ) ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე;

გ) პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

აღნიშნული საფუძვლებით გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ შეიძლება, თუ მხარეს შეეძლო ამ საფუძვლების წამოყენება საქმის განხილვისას, შესაბამისად პირველი ინსტანციის, საპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

მუხლი 423. განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ:

ა) აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია;

ბ) დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვა უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება;

გ) დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება;

დ) სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა;

ე) მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ;

ვ) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

ზ) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს.

2. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოება განახლდება ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით, თუ არსებობს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის “ე”-”ვ” ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მეითითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

4. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძვლით საქმის წარმოების განახლების შემთხვევაში სასამართლო განიხილავს მოსარჩელე მხარისათვის შესაბამისი კომპენსაციის მიკუთვნების საკითხს, თუ მესამე პირების მიერ უფლებათა კეთილსინდისიერად მიღების გამო შეუძლებელია გადაწყვეტილების შეცვლა.

სიყვარული, როგორც ნარკოტიკი...

ჩვენ მიჩვეულნი ვართ, რომ წიგნებში, სიმღერებში, ლექსებში, მხატვრულ ფილმებში ნამდვილ სიყვარულს უმღერიან. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ამ ნაწარმოებებში, ძირითადად, სიყვარულს კი არა, სიყვარულზე „დამოკიდებულებას“ უმღერიან – მძიმე დაავადებას, რომელიც ხშირად ანგრევს ადამიანის პიროვნებას და მას ცხოვრებით ტკბობის საშუალებას ართმევს...

ადამიანი-ნარკოტიკი

ფსიქოთერაპევტებისთვის სიყვარულზე „დამოკიდებულების“ ბევრი ფაქტია ცნობილი. უფრო მეტიც, ისინი თვლიან, რომ ხშირ შემთხვევაში, ეს სწორედ არაჯანსაღი ადამიანების ურთიერთობებია, რომლებიც სიყვარულს სხვა ადამიანის საშუალებით საკუთარი შინაგანი ფსიქოლოგიური პრობლემების გადაჭრის გზად მიიჩნევენ.

ნამდვილი სიყვარული კი — ეს პარტნიორული ურთიერთობებია, სადაც ორი ჰარმონიული პიროვნებაა, რომლებიც ისწრაფვიან, რაც შეიძლება მეტი მისცენ ერთმანეთს. თუ ერთ-ერთი მათგანი სადმე წავიდა თუნდაც დიდი ხნით, მეორე დეპრესიაში კი არ ვარდება და არ ეჭვიანობს, არამედ აგრძელებს სრულფასოვან ცხოვრებას, უყვარს პარტნიორიც და საკუთარი თავიც.

სიყვარული ორმხრივი გრძნობა უნდა იყოს, რომელიც ორივე პარტნიორს ბევრ სასიამოვნო შეგრძნებას და სიხარულს ანიჭებს. სწორედ ესაა ნამდვილი სიყვარული. თუ სიყვარული ტანჯვას განიჭებთ, ცხოვრებას გინგრევთ და პრობლემებს გიქმნით — ეს სიყვარული კი არა, მძიმე დაავადებაა — სიყვარულზე „დამოკიდებულება“, რომლისგანაც თავის დასაღწევად ისევე უნდა იმკურნალოთ, როგორც ნარკომანიისგან ან ალკოჰოლიზმისგან. ის ადამიანი, რომლის მიმართაც ეს ავადმყოფური გრძნობა გაგაჩნიათ, ნარკოტიკი ხდება. მის გარეშე სიცოცხლეც არ გინდათ. გეწყებათ ე. წ. „ლომკები“, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით — გინდათ, რომ ის მუდამ თქვენს გვერდით იყოს. ხოლო თუ „ნარკოტიკი“ „ნარკომანს“ გაურბის, ეს „ლომკები“ იმდენად მტკივნეული ხდება, რომ დაავადებულმა შეუძლება თავიც კი მოიკლას.

რაც ყველაზე საინტერესოა, ხელოვნების ნაწარმოებების უმეტესობა სწორედ ასეთ სიყვარულზე „დამოკიდებულებას“ უმღერის — სწორედ იმგვარ ურთიერთობებს, რომელშიც საყვარელი ადამიანი ნარკოტიკია და მის გარეშე სიცოცხლეს აზრი არა აქვს.

რატომ არის მიღებული სიყვარულზე „დამოკიდებულებისთვის“ ხოტბის შესხმა? იმიტომ, რომ ნამდვილი სიყვარული ტანჯვასთან, ტკივილთან და სიძულვილთან არაფრით არის დაკავშირებული და საინტერესო არ არის. სხვა საქმეა ცრემლები, განშორება, ისტერიკები... ჩვენთვის ეს სიტყვები უკვე დიდი ხანია, სიყვარულის სინონიმებად იქცა, თუმცა, სინამდვილეში, მათ სიყვარულთან არავითარი კავშირი არა აქვთ — ეს ყველაფერი სიყვარულზე „დამოკიდებულებაა“...

ძალიან, ძალიან...

როგორ უნდა მიხვდეთ, ნამდვილად გიყვართ თუ „დამოკიდებული“ ხართ? ამერიკელი ფსიქოთერაპევტის რობინ ნორვუდის წიგნში „ქალები, რომლებსაც ძალიან ძლიერ უყვართ“, სიყვარულზე „დამოკიდებული“ ადამიანების ასეთ ახსნას შეხვდებით: „თუ სიყვარული ტანჯვას გვანიჭებთ, ე. ი. ძალიან გვიყვარს. თუ მეგობრებთან და ახლობლებთან ჩვენი საუბარი მხოლოდ „მას“ ეხება — მის პრობლემებს, გრძნობებს, აზრებს და ყველა ჩვენი წინადადება იწყება სიტყვებით „ის“... — მაშინ ჩვენ ძალიან გვიყვარს.

თუ მის უხასიათობას, ცუდ განწყობას, ყველაფრის მიმართ გულგრილობას, აგრესიულობას ბავშვობაში გადატანილ პრობლემებს ვუკავშირებთ და მისთვის ექიმად გვინდა ვიქცეთ, მაშინ ძალიან გვიყვარს. როცა მისი ხასიათის ბევრი თვისება, ფასეულობები, მოქცევა არ მოგვწონს, ამას ვურიგდებით და ვფიქრობთ, რომ თუ უფრო ნაზები და მომხიბლველები გავხდებით, ისიც შეეცდება ჩვენი გულისთვის შეიცვალოს, მაშინ ჩვენ ძალიან გვიყვარს.

თუ ჩვენი ურთიერთობები საფრთხეს უქმნის ჩვენს ემოციურ კეთილდღეობას, ჯანმრთელობას და უსაფრთხოებასაც კი, მაშინ ძალიან გვიყვარს“.

ფსიქიკურად ჯანსაღი ადამიანი არ მისცემს არავის უფლებას, დაამცირონ, აწყენინონ, არ გაითვალისწინონ მისი ინტერესები და არ დაინტერესდნენ მისი პრობლემებით. „დამოკიდებული“ ადამიანებისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია. ისინი ქმნიან კუმირს. მათ ფანტაზიებში სიყვარულის ობიექტი რეალურისგან ბევრად განსხვავდება. მასზე გადადის ყველა გრძნობა, მისი სახება იდეალური ხდება, უარყოფით თვისებებზე თვალს ხუჭავენ, ხოლო ღირსებები კი გამოგონილია.

„დამოკიდებული“ იგონებს რომ ის უყვართ, პარტნიორის საქციელის გამართლებას პოულობს მაშინაც კი, თუ მის მიმართ არავითარ ყურადღებას არ იჩენენ და გაურბიან კიდეც. იგი ყოველთვის წინააღმდეგობას ეჯახება, რის გამოც იმდენად ძლიერ იტანჯება, რომ სიცოცხლის გაგრძელებისთვის ძლივს პოულობს ძალებს.

ჯანმრთელი ადამიანი, პარტნიორის დაკარგვის შემთხვევაშიც კი აგრძელებს ცხოვრებას, სჯერა საკუთარი თავის, აქვს მომავლის იმედი და მადლიერია ბედისწერის, რომ მას ასეთი ბედნიერება მიანიჭა — ნამდვილი სიყვარული.

სხეულის გარეშე

რატომ ჩნდება სიყვარულზე „დამოკიდებულება“? ვის შეიძლება ეს უცნაური დაავადება დაემართოს? ნორვუდის მტკიცებით, ყველა „დამოკიდებულ“ ქალს ბავშვობაში სითბო და ალერსი აკლდა. მშობლების სიცივის გამო გოგონებმა ვერ შეიყვარეს საკუთარი თავი. ქალებისთვის სიყვარული ბედნიერების სინონიმია და პარტნიორისგან უნდათ იმის მიღება, რაც ბავშვობაში აკლდათ... ერთი ფსიქოლოგის თქმით: „სხვის მიმართ უბედურის სიყვარულის მიზეზი საკუთარი თავისადმი უბედური სიყვარულია“.

საინტერესოა, რომ სტაბილური და მყარი ურთიერთობები მათ ერთფეროვანი, ჯანმრთელი და სრულფასოვანი ადამიანები კი — მოსაწყენებად მიაჩნიათ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ არ იციან, როგორი უნდა იყოს ნორმალური ურთიერთობები ჯანსაღ ადამიანთან. მათთვის სიყვარული ტანჯვის სინონიმია და სიყვარულის ობიექტად ისეთ ადამიანს ირჩევენ, ვისაც თავად აქვს პრობლემები.

აი, რას წერს ამის შესახებ ნორვუდი: „ჩვენ გვეჩვენება, რომ არასტაბილური მამაკაცი ამაღელვებელია, გაუწონასწორებელი — რომანტიკული, უმწიფარი მამაკაცი — მომხიბლველი, უჟმური — იდუმალი. გაბრაზებულ მამაკაცს ჩვენგან გაგება სჭირდება, უბედურს — ჩვენი მოფერება, წარუმატებელს — ჩვენი გამხნევება, ნაკლებად მგრძნობიარეს კი — ჩვენი სითბო. მაგრამ ჩვენ ვერაფრით „გამოვასწორებთ“ იმ მამაკაცს, რომელიც ისედაც სრულყოფილია, თუ იგი კეთილია და ჩვენზე იზრუნებს. ჩვენ ხომ მაშინ ტანჯვა აღარ მოგვიწევს“.

როგორ დავაღწიოთ თავი ამას?

უნდა ითქვას, რომ „დამოკიდებულებისგან“ თავის დაღწევა სულაც არ ნიშნავს მასთან დაშორებას, ვინც თქვენი „ნარკოტიკი“ გახდა. შეიძლება ურთიერთობების მოწესრიგება, თუ თქვენი პარტნიორისთვის ძვირფასი ხართ და მზად არის ცვლილებებისთვის. მაგრამ თუ მუდმივად ტკივილს გაყენებთ, მაშინ უნდა დაშორდეთ, რადგან თქვენი ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაიქცევა.

არსებობს ბევრი სერიოზული რეკომენდაცია ამ „დამოკიდებულებისგან“ თავის დასაღწევად. პირველ რგიში, უნდა გაიაზროთ, რომ ეს სულაც არ არის სიყვარული და მისგან უნდა განიკურნოთ. ამისთვის კვალიფიციურ ექიმს უნდა მიმართოთ, რადგან მეგობრების რჩევები თქვენი პრობლემების გადაჭრაში ვერ დაგეხმარებათ.

მეორე — ადამიანმა უნდა ისწავლოს საკუთარი თავის სიყვარული. ვინც საკუთარ თავში კარგ თვისებებს ეძებს, რაც სიყვარულისა და პატივისცემის ღირსია, ამაყობს საკუთარი თავით, ბევრი რამ აინტერესებს, იშვიათად ხდება ნებისმიერ რამეზე „დამოკიდებული“.

მესამე — თუ თქვენ გრძნობთ, რომ ადამიანი, რომლის მიმართაც გრძნობა გაგაჩნიათ, თქვენი სიყვარულის ღირსი არ არის, საღად უნდა შეხედოთ მას და თქვენდამი მის დამოკიდებულებას მაშინაც კი, თუ ეს თქვენთვის უსიამოვნოა.

შეიძლება საკუთარი „დამოკიდებულების“ ნახატებში, ლექსებში, მოთხრობებში გადატანა და ამგვარად პრობლემებისგან თავის დაღწევა. ფსიქოლოგის რჩევით: „საკუთარ თავში თავისუფალი ადამიანის აღზრდასა და გადარჩენაში ძალიან გვეხმარება კარგი ლიტერატურა, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა. შემდეგ კი მუშაობა, ფიქრი, გართობა და სიყვარული, საკუთარი თავისა და სხვების უსასრულო სიყვარული“...

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

ISSN 2233-3983
9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა